

საერთო გაზეთი

ზიკინა სავანელი:

ჰაბის სისხლის სამართლის ტრიბუნალის სტაბუტის თანახმად სააკაშვილს 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა ემუქრება



ვანტანო ხაჩიძე:

„დასაწყობებულ“ სიკვდილი და ერი, რომელმაც საკუთარი ზნეობრივი კონსტიტუცია დაკარგა...



ეკა ხუნდაია:



„ჩემი თემის ვალდებულება უზენოესი თემანაზარ ბაღის“



გიორგი ვაშაძე:

„საქართველოს სჭირდება უსაფრთხოების გარანტიები და საქართველომ ეს გარანტიები მიიღო“

რატომ გვიპირებს კბილებით ყელის გამოღადრვას ნიკა გვარამია და ვის გამოუყვანს ნირვას გივი თარგამაძე?!



სკანდალური ისტორიები კრიმინალური სამყაროს ლაბირინთებიდან

გაზეთ „ქრონიკა+“-ის მთავარ რედაქტორს, ქალბატონ ელისო კილაკას

ქალბატონო ელისო, თქვენი ბინძური, ზღვარსგადასული პროვოკაციებისა და ცილისწამებებისთვის აუცილებლად მოგიწევთ დოკუმენტურად დასაბუთებული პასუხის გაცემა კითხვაზე, როგორ და რანაირად აფინანსებს „საერთო გაზეთს“ ოკუპანტი ქვეყანა ვლადიმერ ხომერიკის (!) მეშვეობით და როგორ აშანტაჟებენ გაზეთის რედაქციას რაღაც „პიკანტური კადრებით“, რომლის „არსებობის“ შესახებ თქვენ თურმე დაზუსტებულად იცით.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია



საერთო გაზეთი

— გაზეთი ვლადიმერ ხომერიკის მკითხველისთვის

„საერთო გაზეთის“ სტუმარი სამართლის დოქტორი, პროფესორი ბიძინა სამანელი

ბატონო ბიძინა, სოციალურ ქსელში თქვენ ასევე განაცხადეთ: „ზომ ფაქტია, რომ საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტმა არ გამართლა და ამის გამო ზომ ფაქტია, რომ 1921 წლის კონსტიტუციის სულითა და სიტყვით კონსტიტუტად ქართველი მამები პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში სწორი აღმოჩნდნენ! თქვენი კომენტარი თუ შეიძლება ბატონი ზვიად გამსახურდიას დაეწყო...“

მერაბ კოსტავა ჩემი ბავშვობისა და ყრმობის მეგობარია, ხოლო ზვიადისთან ერთად ის - ჩემი თანაკლასელიც იყო. გარდა ამისა, დედაჩემი და მერაბის დედა განუყრელი მეგობრები იყვნენ. ამდენად, ჩემთვის პერსონალურად ცნობილი იყო საბჭოთა ანუ რუსეთის კვების რომელი აგენტი იყო ჩანერგილი ეროვნულ მოძრაობაში, ზვიადის მთავრობასა და მის უახლოეს გარემოცვაში. ხომ საყოველთაოდ ცნობილია რუსული გამოთქმა: «Амь ёт ёт ёт аи аи аи». ზვიადს სწორედ მაგათმა მოუღეს ბოლო. ამრიგად, ნაკლი ძირითადად საკადრო პოლიტიკის სისუსტეში გამოიხატა. იყო სხვა მიზეზებიც, რომელთა განხილვისთვის ამჯერად თავს შევიკავებ.

შეგარდნადის დროს თითქმის ყველა, განსაკუთრებით ეკონომიკურ და საფინანსო დარგებში, სრული ანარქია სუფევდა. ასევე საგარეო პოლიტიკის სფეროს გამოეყოფიდა. შეგარდნამ ბუტროს გალის რჩევა არ გაითვალისწინა და აფხაზეთში არა გაეროს სამშვიდობოები, არამედ რუსის ჯარი ჩააყენა, და არ მივიღებდით იმას, რაც მივიღეთ. 1997 წლიდან გაეროს სამშვიდობოები ჩაყენებდას მე, ხოლო 2004 წლიდან 52 პროფესორი და ორი აკადემიკოსი (ერთ-ერთი დღეს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი) მოვიტოვეთ. მაგრამ არც ძველმა და არც ახალმა ხელისუფლებამ დავაწმინდეს და ბრძენ მეცნიერთა მოთხოვნა არ გაითვალისწინა და არც ახლა ითვალისწინებს. ნიშანდობლივია, რომ ევროსაბჭომ 2009 წლის 29 იანვარს ჩვენი მოთხოვნის ანალოგიური რეზოლუცია მიიღო. აი ისიც: „იმ უდავო მტკიცებულებათა შექმნა, რომ 2008 წლის ომის დროს ქართულმა და რუსულმა მხარეებმა ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართლის ნორმები დაარღვიეს, ახალი სამშვიდობო ფორმატის შექმნასა და სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რეგიონებში სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, და ამ რეგიონების სტატუსთან დაკავშირებული არ შეიძლება იყოს“.

ამის შემდეგ, ხელისუფლებაში „ეროვნებაგარეცხილები“ მოვიდნენ. ზომ ფაქტია, ბოლოს და ბოლოს ვინ „ჩაირეცხა“?

თუკი შეგარდნადის დროს სრული ანარქია სუფევდა, სააკაშვილის დროს სრული მონარქია დამყარდა.

თავიდან დაიწყო. ხომ ფაქტია, რომ სააკაშვილმა ბურჯანაძისა და საპარლამენტო უმრავლესობის ხელშეწყობით:

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 და მე-7 მუხლების დარღვევით ცვლილება შეიტანა საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის ე) პუნქტში და პრეზიდენტს მიანიჭა მოსამართლეთა დანიშვნის და განთავისუფლების ექსკლუზიური უფლება, რითაც სასამართლო ხელისუფლება მას დაუქვემდებარა.



ბიძინა სამანელი:

ჰააგის სისხლის სამართლის ტრიბუნალის სტატუსის თანახმად სააკაშვილს 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა ემუქრება

თუ არა ჩემი სეხნია, ადვილი წარმოსადგენია დღეს რა მდგომარეობაში ვიქნებოდით — ამ ერისკაცმა „ქართლის ჭირი“ მოგვაშორა

საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის გაუქმებით, პროკურატურა გამოიყვანა მართლმსაჯულების სისტემიდან და იგი პრეზიდენტს დაუმორჩილა, რითაც დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მუხლები 5 და 7.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5, მე-6 და მე-7 მუხლების დარღვევით, გააერთიანა უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროები;

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის დარღვევით პრეზიდენტს მიანიჭა პარლამენტის დათხოვნის ექსკლუზიური უფლება, რითაც საკანონმდებლო ხელისუფლება მას დაუქვემდებარდა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 და მე-12 მუხლების დარღვევით დანაშაულებრივი უმოქმედობა გამოიჩინა, და ოურიდიული ძალის არმქონედ არ გამოაცხადა აფხაზეთში მცხოვრებ პირებზე რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობები ანუ არ აღკვეთა რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ანექსიის მცდელობა.

საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის დარღვევით დსთ-დან გამოსვლაზე უარი გა-

ნაცხადა ანუ დანაშაულებრივი უმოქმედობით დაბლოკა გაეროს ჯარებით დსთ-ს ჯარების ჩანაცვლება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

საქართველოს კონსტიტუციის 6, 7, 39 და 48 მუხლების დარღვევით კონტროლი არ გაუწია მთავრობის საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის დარგში, რის შედეგადაც ხელყოფილი იქნა საქართველოს კონსტიტუციის 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 23, 24, 25, 28, 30, 31, 32, 33, 34, 35, 37, 40, 41 მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რომლის აპოგეად იქცა 2007 წლის 7 ნოემბერი. ამ დღეს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების აღმამოუბრუნებელი დარღვევები გაამართლა ბურჯანაძემ და სა-

თქვენს შეკითხვაზე პასუხს ორ ნაწილად დავყოფი. საქმე ეხება მათ მიერ სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ დანაშაულებს. თქვენს ყურადღებას ვერ პირველზე საკითხზე შევაჩერებ.

საკაშვილმა და მისმა გუნდმა აჭარაში 57 ათასი თურქი ჩამოგვისახლა, რომელთაგან ნახევარზე მეტს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 12-ის ძალით: საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის მხოლოდ იმ მოქალაქეს შეიძლება მიენიჭოს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამოძინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.”

ფაქტია, საქართველოს ერთი მეზობლის ოცნების ასახედნად სააკაშვილმა და მისმა გუნდმა კონს-



პარლამენტო უმრავლესობამ, მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებული ქვეყნების მთავრობებმა დაგმეს სააკაშვილის და მისი ძალადობის განხორციელება აქცია, რის გამოც სააკაშვილი გადადგა, რაც ოურიდიულ ენაზე დანაშაულის ჩადენაში ბრალის აღიარებად უნდა შეფასდეს.

ბატონო ბიძინა, სატელევიზიო სივრცესა და პერიოდულ პრესაში თქვენ მრავალჯერ დააყენეთ საკითხი სააკაშვილისა და მისი გუნდის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღებისა და გამოძიების დაწყების თაობაზე. იქნებ ვკითხვართ, კონკრეტულად რა ბრალდებანი შეიძლება წაყენდეთ?

ტიტუციური სასამართლო ბათუმში, ხოლო პარლამენტი ქუთაისში გადაიტანა. ისევ მთავრობის გადატანას ზუგდიდში აპირებდა. ასევე ფაქტია, რომ სააკაშვილი გამოჩენილ სომეხთა ოცუელშია შეგვანილი. (იხ. <http://planeta-armeniya.narod.ru/znamarm.html>). რატომ?

საკაშვილმა და მისმა გუნდმა ენერგეტიკული რესურსები და სისტემა რუსეთს მიჰყიდა; კოლონის ხეობას დამცველი სენები განაარაღა და ხეობა აფხაზეთს მიუერთა; გამსახურდიას ინიციატივით გაუქმებულ სამხრეთ ოსეთს ავტონომიის სტატუსი აღუდგინა და მას ახალგორი მიუერთა; 2008 წელს ცხინვალი დაიბრუნა, და ყვე-

ლაფერ ამით რუსეთს ხელი შეუწყო ამ რეგიონების ოკუპაცია მოეხდინა და მათი ფორმალური დამოუკიდებლობა ეცნო.

ამრიგად, სააკაშვილსა და მის გუნდს ბრალი ედება მასში, რომ მათ ჩაიდინეს დანაშაული გათვალისწინებული: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეტონიშეუცხად კარის („დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ“), 37 თავის („დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ“), მუხლი 308-ის („საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა“) მეორე პუნქტით, რომლის ძალით: „საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, მიმართული უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მიეღი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ანდა საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ, რამაც საქართველოს მიეღი ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაკარგვა, ანდა სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.“

რაც შეეხება საერთაშორისო დანაშაულს...

რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით ევროკავშირის ქვეყნების მიერ შექმნილმა ფაქტების დამდგენმა საგამოძიებო მისიამ სააკაშვილს ბრალი დასდო „ადამიანური უფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის დანაშაულის ჩადენაში, რაც ჰააგის სისხლის სამართლის ტრიბუნალის სტატუსის თანახმად, 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.“ ევროკავშირის ქვეყნების მიერ შექმნილი ფაქტების დამდგენი საგამოძიებო მისიის დასკვნის საფუძველზე საქართველოს პროკურატურა ვალდებულია აღძრას სისხლის სამართლის საქმე, გამოძიება ფორმალურად დაიწყო, ბრალი მას წარუდგინოს და საქმე ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორს გადაუზავნოს, რომელიც, ბრალის დადასტურების შემთხვევაში, საქმეს ჰააგის ამ სასამართლოს გადასცეს.

ამრიგად, არათუ საქართველოს, მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს, რომ ქვეყანას სახელმწიფო მეთაურის სახით ასეთი მტერი მოეღწეოდა.

თუ არა ჩემი სეხნია, ადვილი წარმოსადგენია, დღეს რა მდგომარეობაში ვიქნებოდით. ამ ერისკაცმა „ქართლის ჭირი“ მოგვაშორა. ძველ თქმულების თანახმად, „რომ მოვიდა არამიო, გააძევა ალალიო“. ისტორიულმა სამართლიანობამ იხვიდა: და „რომ მოვიდა ალალიო, გააძევა არამიო“.

ახალ პრეზიდენტზე რას იტყვიან?

როგორც მეცნიერი, ის ჩემი კოლეგაა. ამიტომ პოლიტიკურ ჭრილში მოკლედ გეტყვით, ის ტიპური კოსმოპოლიტია, აქედან გამომდინარე შესაძლო უარყოფითი შედეგებით.

ირანდა კალანდაძე 593 56 11 18

„საერთო გაზეთი“ მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილიაზა გამომცემელი: შპს „საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“ მის: თბილისი, ალბაშენაძის 164; ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97 რეგისტ. №202375349; შპს (შპს) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოკვეთიდან ერთი ჰვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ინფორმაცია შპს „საგამომცემლო ცენტრი“ ტელ.: 599 95 31 90

მანტანს ხარჩილამა

„ნაცმოდრობა“ ირწმუნება, რომ ბოლო ხანებში დანაშაულმა იმატა, რასაც ისინი უშუალოდ შს მინისტრის ცუდ მუშაობას აბრალებენ და მის დაუყოვნებლოვ გადადგომას ითხოვენ.

გაუგებარია, სავარაუდოდ, რა სინდისით და რა ნაშუსით ღაპარაკობენ „ნაციონალეზი“ დანაშაულის კლავასა თუ მატეაზე, როდესაც მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ქვეყანაში 25 000 პატიმარი და 300 000 პროვაციონერი იყო.

თუ ამ ციფრებს დავუყრდნობით, გამოდის, რომ „ნაციონალეზის“ ცხრაწლიანი ბატონობის პერიოდში ქვეყანაში დანაშაულმა არნახული მასშტაბებით იმატა, თუმცა ამის გამო ნაცებს შსს იმჟამინდელი მინისტრის ვანო მერაბიშვილის გადადგომა კი არ მოუთხოვიათ – სახელმწიფოს ბურჯად და ხერხემლად გამოაცხადეს.

თუ „ნაციონალეზი“ თვლის, რომ მათ დროს ქვეყანაში პრიმიტიული მდგომარეობა დასაფხვამად იქნა, მაშინ რას ნიშნავს ეს 25 000 პატიმარი და 300 000 პროვაციონერი – უდანაშაულო ადამიანებს იჭრდნენ და ტყუილზარალოდ ასამართლებდნენ?

სამწუხაროდ, ამ კითხვებს არც დღევანდელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები და არც თვით შს სამინისტრო რატომღაც არ სვამს, რომ „ნაციონალეზის“ უტიფარ დემოკოვიას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს.

პატიმრებს და პროვაციონერებს რომ თავი დავანებოთ. რამდენი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგული ამ ცხრა წლის განმავლობაში, რამდენი ადამიანი დახვრეტილი ქუჩაში, საკუთარ სახლსა თუ სადარბაზოში, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კურთხევაშიცემული ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ?

ეს რა, დანაშაული და კრიმინალი არ იყო, ჩადენილი თვით ხელისუფლების დასტურით, მისი წაქეზებით და წახალისებით?

ეს დანაშაულობანი სხვა დანაშაულების სტატისტიკას რომ მიემატება, კიდევ უფრო დიდი ციფრი გამოვა, ვიდრე ოფიციალურად იყო დაფიქსირებული ნაციონალეზის „ბულაღტრების“ მიერ.

„ვარდების რევოლუციამდე“ საქართველოში პატიმართა რაოდენობა 5 000-ს აღწევდა, ნაციონალეზის დროს კი ეს რიცხვი ხუთჯერ გაიზარდა!

მატყუებ ამას ჰქვია თუ ჰქვია!

დღევანდელ ხელისუფლებას ერთი ნაკლი აქვს – ის სათანადოდ არ უღრმავდება და ამომწურავად არ აფასებს და არ აანალიზებს მისი წინამორბედი ხელისუფლების ნამოქმედარს უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, ნაკვაცარს.

„დასაწყობებული“ სიკვდილი და ერი, რომელმაც საკუთარი ზნეობრივი კონსტიტუცია დაკარგა...

ახლა საკუთარ დედას თვითონ ვაგინებთ, ერთმანეთს დანას ვუყვრით, ხუთი კაცი ერთ კაცს ვცემთ, ნაქცეულს ნიხლებით შევდგებით, ერთმანეთს სასიკვდილოდ ვიმეტებთ და ეს ჭიკაძე რომ ცუდი მინისტრია, იმიტომ კი არ ხდება, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ გავხდით ცუდები, ცუდები კი იმიტომ გავხდით, რომ ჩვენი მენტალობის განმსაზღვრელ დაუნერულ კოდექსს, ჩვენს შინაგან კონსტიტუციას ზურგი შევაქციეთ.

არადა, ამის გაკეთება აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ წარსულის მახინჯი მოვლენები რაღაც ფორმით მომავალშიც არ განმეორდეს.

კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სააკაშვილის დროს პოლიცია კარგად მუშაობდა და იმ მიზნებს და ამოცანებს ზედმიწევნით კარგად ასრულებდა, რისთვისაც არის ის მოწოდებული და რისთვისაც არსებობს, როგორც სტრუქტურა.

ვფიქრობ, არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ „ნაციონალეზის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს პოლიცია პოლიციას კი არა სადამსჯელო-საეგზეკუციო სტრუქტურადაა გადაქცეული.

გარეშე პოლიცია მას ეფექტურად ვერ დაიცავს.

აი, ეს შეგნება ვერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა ქართულ საზოგადოებაში, რომლისთვისაც პოლიციასთან თანამშრომლობა ვერ კიდევ „გრესად“ ითვლება.

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას მენტალური პრობლემები აქვს, რომლის დასასძლევედაც ძალიან ბევრი, კომპლექსური ღონისძიებების გატარება საჭიროა.

თბილისელთა კვლევითი ცენტრის კვლევის მიხედვით, რომელიც ახსნის, რომ რამდენიმე თბილისის ქუჩაში მილიციის მანქანების მართვით დასაწყობების ცნობილი

მეთა საინისტრო დღეს კარგად მუშაობს.

რაც შეეხება დანაშაულის პრევენციას, ამას პოლიცია დამოუკიდებლად ვერ შესძლებს, თუ ამაში აქტიურად არ ჩაერთვებიან საზოგადოება და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები.

ხელისუფლება რადიკალური ზომების მიღებას აპირებს დანაშაულის შესამცირებლად და ერთ-ერთ ასეთ ზომად იარაღის უკანონოდ ტარება-შენახვისთვის რეგულაციების გამკაცრება მიაჩნია.

ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისი არ არის.

ჩემი აზრით და, დარწმუნებუ-

შინაშული იარაღი, ეს არის დროებით „დასაწყობებული“ სიკვდილი, ეს არის ასაფთავებლად გაფხვადებული უზადურება და ტრაგედია...

შეიძლება კი ყოველივე ამას სახელმწიფო კანონის ძალით აკანონებდეს?

მე მგონი, არა!

არსებობს სახელმწიფო და სახელმწიფოს მიერ მიღებული ოფიციალური კანონები, მაგრამ ამასთან ერთად არსებობს კანონების დაუწერელი კოდექსი, რომელსაც ერი საუკუნეების განმავლობაში ქმნის და რომლის მიხედვითაც ცხოვრობს.

ფაქტობრივად, ეს დაუწერელი კოდექსი ერის არაოფიციალური კონსტიტუციაა, მისი ზნეობრივი და სულიერი ღირებულებების დამდგენი და განმსაზღვრელი ლოკუმენტი, რომელიც, მართალია, არც იუსტიციის სამინისტროს მიუღია და არც პარლამენტს დაუმტკიცებია, მაგრამ ის არსებობს ერის შიგნით, მისი სულიერი სამყაროში, როგორც მისი ეროვნული ხასიათის თავისთავადობის და თავისებურების ამსახველი უმნიშვნელოვანესი საბუთი.

მაგალითად, ამ დაუწერელი კოდექსის მიხედვით, უდიდეს სირცხვილად, უდიდეს ღირსებად ითვლებოდა, ვაჟკაც კაცს მეორე ადამიანისთვის დანა გაეყარა.

უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა, ერთი კაცი სამს ან ოთხს ეცემა ან წაქცეულისთვის ხელი დაეკარებინა.

ასევე უდიდეს ცოდვად ითვლებოდა დღის შეგინება.

ახლა საკუთარ დედას თვითონ ვაგინებთ, ერთმანეთს დანას ვუყვრით, ხუთი კაცი ერთ კაცს ვცემთ, ნაქცეულს ნიხლებით შევდგებით, ერთმანეთს სასიკვდილოდ ვიმეტებთ და ეს ჭიკაძე რომ ცუდი მინისტრია, იმიტომ კი არ ხდება, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ გავხდით ცუდები, ცუდები კი იმიტომ გავხდით, რომ ჩვენი მენტალობის განმსაზღვრელ დაუნერულ კოდექსს, ჩვენს შინაგან კონსტიტუციას ზურგი შევაქციეთ.

სწორედ ამ თემაზეა, ალბათ, წამოსაწყები დიდი საუბარი, სახალხო, საჯარო საუბარი, რომელშიც მონაწილეობა ერმა და ბერმა უნდა მიიღოს.



ტურას უფრო ჰგავდა, რომელიც სახელისუფლო გუნდის პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა და არა ხალხს, არა საზოგადოებას.

პოლიცია და საზოგადოება იმ დროისთვის აბსოლუტურად გაიხლიჩა ერთმანეთისგან და შინაგანად ერთმანეთს დაპირისპირებულ ორ ძალად იქცა.

პოლიცია საზგასმული ავრესიულობით არა მხოლოდ კრიმინალურ სამყაროს. არამედ მთლიანად საზოგადოებას და მასში პოტენციურ დამნაშავეს უფრო ხედავდა, ვიდრე პარტნიორს და თანამოაზრეს.

მისასალმებელია, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ეს მანკიერი დამოკიდებულება ნელ-ნელა იცვლება, თუმცა გარკვეული დროა საჭირო, რომ პოლიციის და საზოგადოების ურთიერთობა ორმხრივი თანამშრომლობის და პარტნიორობის ფორმატში გადავიდეს.

იქ, სადაც სამოქალაქო საზოგადოება უკვე ჩამოყალიბებულია, საზოგადოებას კარგად ესმის, რომ მისი აქტიური დახმარების

წარმომადგენლები — მფარველები, მსახიობები, კომპოზიტორები, პროფესორები თუ აკადემიკოსები.

რატომ არ შეიძლება თუნდაც ეს მივიწყებული ტრადიცია აღვადგინოთ და პოლიციის საპატრულო ვაკუუმის გვერდით კვლავ გამოჩნდნენ საზოგადოებისთვის ავტორიტეტული ადამიანები?

ბევრი ისეთი რაღაცის მოფიქრება ბევრი ისეთი რაღაცის გაკეთება შეიძლება, რომ ის უხილავი კედელი, რომელიც პოლიციასა და საზოგადოებას შორის ვერ კიდევ არსებობს, მოირღვევს და დაინგრეს.

შს დღეს რომ შესანიშნავად მუშაობს, ეს იმიტომაც დასტურდება, რომ ცხელ კვალზე, ოპერატიულად იხსნება თითქმის ყველა მძიმე თუ ნაკლებად მძიმე დანაშაული.

რადგან „ნაციონალეზი“ შს მინისტრის გადადგომას მოითხოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგან საკ-

ლი ვარ, ამ აზრს ძალიან ბევრი დაეთანხმება, საჭირო და აუცილებელია, საერთოდ ყველანაირი სახის იარაღის გაყიდვის აკრძალვა.

როდესაც სახელმწიფო ნებას რთავს მოქალაქეს შეიძინოს იარაღი, ამით იგი ნებსით თუ უნებლიეთ მინაწილეობს იმ დანაშაულში, რომელიც შეიძლება ამ იარაღით იქნას ჩადენილი ზვალ, ზეგ, ათი თუ ოცი წლის შემდეგ. საქმეს ვერ შევლის კანონის ის მუხლი, რომლითაც იარაღის მუქარას მისი ტარების უფლება ეკრძალება.

კი, მაგრამ ვინ იძლევა იმის გარანტიას ან ვინ შეუშლის ხელს, რომ თუნდაც აფექტის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ამ იარაღს არ გამოიტანს და მოქმედებაში არ მოიყვანს?

მოდით, კარგად გავი-აზროთ, რას ნიშნავს ეს იარაღის შექმნა შენახვის უფლებით და იმ მოსალოდნელ გავრცელებასაც დავფიქრდეთ, რა შედეგება მოჰყვება იარაღის შენახვას?

„საერთო გზები“ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავჯდომარეს მკა ბესელიას ესაუბრა.

– ქალბატონო ეკა, პირველი რიგში, გვინტერესებს თქვენი, როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავჯდომარის შეხედულება ქართულ პრესაზე, კერძოდ, რამდენად სწორად ასახავს პრესა ჩვენში მიმდინარე პროცესებს და რამდენად სწორი გამოძახილია იმ მოვლენების, რაც დღეს ხდება?

– პრესის და ზოგადად მედიის როლის მნიშვნელობა და ფუნქცია ჩემთვის სრულიად გასაგებია და ნამდვილად არ საჭიროებს ახსნას რაოდენ დიდია მისი გავლენა საზოგადოებაზე. მე, პატივს ვცემ ამ პროფესიის ადამიანებს, თქვენს საქმიანობას. ვიმეორებ, ეს პროფესია უაღრესად საპატივცემულოდ მიმაჩნია.

როდესაც ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო ქართული მედიის ნაწილის კრიტიკა და მისი მსოფლმხედველობა ჩამოაყალიბა, გვახსოვს, ხომ როგორი ხმაური ატყდა... ლამის ყოფინა შემოცხეს მავანთ როგორ გაბედო... მოდით, ობიექტურად შევხედოთ რა სურათი გვაქვს და თქვენ, თავად, როგორც მედიის წარმომადგენელმა მითხარით, მოგწონთ ყველაფერი, რაც დღეს ხდება ქართულ მედიაში? არის ქართული პრესა სრულიად ობიექტური? არც ერთი მედია ჯგუფი არ გამოხატავს რომელიმე პოლიტიკური გუნდის ინტერესებს? ანდაც ცალკეული ჟურნალისტები, რომლებიც ექსპერტებად და მორალისტებად გვევლინებიან, მაშინ, როცა ვიცით, ფაქტები მავანთა შესახებ, როგორი შანტაჟით, პროვოკაციებით, აკრძალული და არაეთიკური მეთოდებით ცდილობენ სარგებლის მიღებას?!

– უკაცრავად, მაგრამ იმ „ჟურნალისტისგან“ ვერ მივიღებ ჭკუის სწავლებას, რომლის შესახებაც მაქვს საკმარისი ინფორმაცია, რომ არანაირ ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტს არ იცავს და ყველაფერს კადრულობს!

– თქვენს შორისაც თუ არ მოხდა წყალგამყოფის გავლენა და პროფესიული სტანდარტებით დაჯგუფება, ვფიქრობ ეს, მთელი მედიისთვის იქნება ძალიან ცუდი. მე მაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა მედიის წარმომადგენლებთან, ძალიან იშვიათად, თითქმის თითო ოროლა შემთხვევა იყო, როდესაც მიუღებელი ქცევების გამო ღიად დაგაფიქსირე ჩემი პოზიცია კონკრეტული ჟურნალისტის მიმართ... აბსოლუტური უფლება არ არსებობს წამების აკრძალვის გარდა და არც ხელშეუხებელი ფენა არ არსებობს, კანონის წინაშე ყველა თანასწორია და ეს პრინციპი ვერ გაითავისა ბევრმა.

– ქალბატონო ეკა, დავიჯეროთ, ასეთი ძნელია ფინანსების მონიტორინგი, არაერთ საინფორმაციო საშუალებაზე ითქვას, რომ ასტრონომიული თანხები შემოსდის საზღვარგარეთიდან ან სულაც დესტრუქციული ძალებიდან... – ალბათ, გახსოვთ, რაც ხდებოდა სააკაშვილის დროს – მისი კონტროლით ხდებოდა ყველაფერი, ერთი ხელი მართავდა ყველა მედია საშუალებას, ერთი ტექსტი იყო ყველა სატელევიზიო ბადეში და თანმიმდევრობაც კი...



მკა ბესელია:

„ჩემი თბენის ვალდებულება უზნეობის თბენაზე არ გადის“

საკაშვილი-უგულავა-ბოკერია-მედის კონტროლით იყვნენ დაკავებული. ჩვენ ამ სიმანქანაზე უარი ვთქვით, ჩვენმა მთავრობამ მოხსნა ყველა ბერკეტი, რაც დახვდა წინა ხელისუფლებისგან მედიაზე და მივეცით თავისუფლება მედიას. ამის გარეშე ხომ შეუძლებელია მედია იყოს ღირებული, თუ მას თავისუფლება წართმევი, როგორ იქნება იგი ობიექტური? ზოგიერთი მედია საშუალება თავად არ არის მსურველი ამ თავისუფლების, ზოგი ნებაყოფლობით არის პოლიტიკურ ჯგუფთან შერწყმული. კარგად ვიცით, ნაც მოძრაობის მედია დასაყრდენი ვინ არის ამ ქვეყანაში...

სახელი დაერქვა ყველაფერს და ყველამ ყველაფერი კარგად დაინახა...

– დეზინფორმაციების გარკვეულ, თუნდაც უმცირეს პროცენტს პრესა ვერ ასცდება. დეზინფორმაციას მრავალი მიზეზი აქვს ხოლმე, როგორ ფიქრობთ, რითია გამოწვეული დეზინფორმაციის მაღალი ხვედრითი წილი პრესაში? – აბსოლუტურად ობიექტური ვერ იქნება მედია, მაგრამ პრესაში ზოგჯერ ისეთი რამე იწერება... ჩვენ გვყავს პროფესიონალი, მოუსყიდველი და ზნეობრივი ჟურნალისტები, მაგრამ მითხარით, რა სტანდარტში ჯდება presa.ge, ზონა ნიუსი ან მაგ: ჯანაშიას ტსპრესი? ეს ხომ ორდობის ჭორებზე დამყარებული მდარე ხარისხის ტყუილებია? შეურაცხმყოფელი საკუთარი თავისა და პროფესიისა. აი, ამ ფორმით ცდილობენ საკუთარი მიზნების მიღწევას.

– ვინ და რა მიზნით უკვეთავს პრესას დეზინფორმაციებს და რამდენად ლოგიკურია ხელისუფლების მხრიდან წაყრუება ამ ინფორმაციებისადმი, მით უფრო, რომ პრომთავრობული პრესა საქართველოში თითქმის არ გვაქვს? – ამაზრზენია ეს დაკვეთილი მასალები... დავასახელებ რამდენიმე სააგენტო, მაგრამ თქვენ ხომ ყველაზე უკეთ იცით ვინ ვინ არის? პროფესიული სტანდარტების

ამაღლებას ეთიკის კომისიამ უნდა უშველოს, მაგრამ როგორც ჩანს, რთულია. ცოტა ხნის წინათ, ჟურნალისტად წოდებულ ელისო ჯანაშიას მიმართ ეთიკის საბჭომ დაადგინა, რომ არღვევდა ეთიკის ნორმებს, როდესაც წერდა ათას სისულელეს და ტყუილს. ეთიკის კომისიამ თქვა, რომ არ იცავდა პროფესიულ სტანდარტებს და რა? გაბრაზდა და დატოვა ეს გაერთიანება. ამით მოიხსნა ყველა ვალდებულება და ახლა მე არ ვკითხულობ და ამით თავს არ ვივლი, მაგრამ მეუბნებიან, რომ სამარცხვინო სტატუსებსა და მასალებს წერს... რა ქნას? ზოგი



ასეთი მეთოდით ირჩენ თავს...

– არც ისე დიდი ხნის წინათ, ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა თითქოსდა აგენტების სია, რომლებიც ნაციონალური მოძრაობიდან შეგზავნილი იყვნენ ქართულ ოცნებაში. რით ხსნით იმ ფაქტს, რომ არც პროკურატურა დაინტერესდა (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია) ამ ფაქტით და არც სერიოზული პასუხი გასცა ვინმემ ამ პუბლიკაციის ავტორს? – ზოგმა ჩათვალა, რომ ეს არ ღირდა პასუხის ღირსად, ზოგმა კი, მიმართა სამართლებრივ გზას. ეს მათი არჩევანი იყო.

– როგორ ფიქრობთ, დეზინფორმაციებზე და მსგავს მასალებზე პასუხისმგებლობის ბრალი

ხომ არ არის ის, რომ, თუნდაც თქვენი შვილის შესახებ დღეს არასასიამოვნო პუბლიკაციები იბეჭდება... დღეს თქვენი შვილი იქნება, ხვალ რომელიმე სხვა პოლიტიკოსის შვილი..

– ეს შემთხვევა კლასიკური მაგალითია დაინახო რეალური სურათი. 3 დღე ისტერიულად ცდილობდა პატარა ჯგუფი ნაციონალურ ორგანიზაციებთან დაეკავშირებინა ხელგონად აჭარაში მყოფი ჩემი შვილი თბილისში მომხდარ ტრაგედიასთან. ამაზე ამაზრზენი რა უნდა იყოს, რომ ახლაგზრდა ბიჭს აბრალბდ ასეთ სისამაგლეს? ამაზე უარესი რა უნდა იკადროს რომელიმე მათგანმა, ვინც იმ დღეებში წერდა ამ ტყუილებს. მე იურისტი ვარ და მთელი ცხოვრება სასამართლოში

და ადამიანის უფლებების დაცვაში ვაგვატარებ. დღეს, მაკისრია ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა, ამ ადამიანებს შორის რატი მილორაჯივაა, რომელმაც მთხოვა, რომ მისი უფლებაც და ღირსებაც დაეცვა, მე ამას ვაგვაკეთებ. ეს ვერ შევძელი სააკაშვილ-მერაბიშვილის დროს, როდესაც 2 წელი სკოლის მოსწავლე პოლიტიკური შურისძიების მსხვერპლი გახდა იმის გამო, რომ მე არ რეჟიმს ვებრძოდი. ჩვენ ღირსეულად გადავიტანეთ ის ანგარიშსწორება და ბოლომდე ვიბრძოლებო. დღეს, მე, ამის პატივს

და ადამიანის უფლებების დაცვაში ვაგვატარებ. დღეს, მაკისრია ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა, ამ ადამიანებს შორის რატი მილორაჯივაა, რომელმაც მთხოვა, რომ მისი უფლებაც და ღირსებაც დაეცვა, მე ამას ვაგვაკეთებ. ეს ვერ შევძელი სააკაშვილ-მერაბიშვილის დროს, როდესაც 2 წელი სკოლის მოსწავლე პოლიტიკური შურისძიების მსხვერპლი გახდა იმის გამო, რომ მე არ რეჟიმს ვებრძოდი. ჩვენ ღირსეულად გადავიტანეთ ის ანგარიშსწორება და ბოლომდე ვიბრძოლებო. დღეს, მე, ამის პატივს

არ ვაპირებ და რადგან ვთქვი, რომ ამ უღირს ადამიანებს მოუწევთ სასამართლოში მისვლა, მოუწევთ. დიან, მოუწევთ და იქ გასცემენ პასუხებს ჩემს კითხვებზე! აი, ეს უნდა გააკეთოს ყველამ, რომ ჯანაშიას და presa.ge-ს მაგვარი ვითომ ჟურნალისტების დრო დასრულდეს.

– ანუ პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის ან სხვა რომელიმე მუხლით აპირებთ უწივლოდ იმ გამოცემებს, რომლებიც თქვენ შვილს მსგავს რამეს აბრალბდნენ? „ქრინიკა“ წერდა თქვენს შვილზე, ფოტოებიც გამოაქვეყნა, ამ გაზეთის გულისხმობა?

– სასამართლოში მოუწევს ყველა იმ ადამიანს პასუხის გაცემა ვინც იყო დაკავებული ამ დღეებში ამ ცილისწამებით და ამას ვაგვაკეთებ იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას ექნება ადგილი. ჩემი თმენის ვალდებულება უზნეობის თმენაზე არ გადის. მე ვიცი რა უნდა ვითმინო და ეს ის შემთხვევა არაა. დავასრულებთ მუშაობას და ანალიზს იმ დღეების მასალებისა და საბოლოოდ მეცოდინება ვინ იქნება ადრესატი ან ადრესატები.

– დაბოლოს, ჩვენში დამკვიდრდა სტერეოტიპი, რომ თუ პრესას პასუხს გასცემს პოლიტიკოსი ეს დემოკრატიული პროცესის დარღვევაა. პოლიტიკოსიც ისეთივე ადამიანია, როგორც სხვა ჩვეულებრივი მოქალაქე და მას ზუსტად ისევე შეუძლია უწივლოდ გაზეთს, როგორც მაგალითად ოთარ კობერიძემ?! დემოკრატია პასუ-

ხისგაუცემლობას არ ნიშნავს... – დემოკრატიის ნაწილია პატივი სცე ადამიანის ღირსებასა და პირად ცხოვრებას. დემოკრატიის ნაწილია მედიის თავისუფლება, რომელიც არ არის აბსოლუტური, ისევე როგორც ყველა სხვა უფლება, როგორც ვითხარით, წამების აკრძალვის გარდა ყველა უფლება იზღუდება უფრო დიდი სიკეთით ან სხვა უფლებით. რას ნიშნავს პასუხს ვერ გასცემ? თუ ტყუის პასუხს გასცემ ნებისმიერს. 17 წლიდან ვიბრძოდი უსამართლობის წინააღმდეგ და არასოდეს დამიშვია კომპრომისი უსამართლობასთან...

არ მეუფლება დედამიწაზე ადამიანი, ვინც მათულებს ჩემს პრინციპებზე უარი ვთქვა, ვისაც ასე ეგონა, მიიღო პასუხი. პოლიტიკაში ჩემი მოსვლა ამ ბრძოლამ განაპირობა და დღესაც ამაში ვხედავ ჩემს როლს... მე არ ვარ ადამიანი, ვინც ელაუჭება სკამს ან თანამდებობას, არაფერს წარმოადგენს არც ერთი ჩემთვის, პასუხისმგებლობისა და ტვირთის გარდა. ნებისმიერ დროს შემიძლია ამ ყველაფერზე უარი ვთქვა თუ დავინახე, რომ ამით ჩემი ზნეობრივი პრინციპები ილახება. ამიტომ მაქვს ეს სითამამე და თავისუფლება. მე ვიცი რას ნიშნავს ადამიანის ღირსება და მისი დაცვისთვის ყველაფერი ღირს...თუ ვინმეს ჰგონია, რომ

ტალახს მესვრის ამ იაფფასიანი მეთოდებით მათვე ვეჭვვი, რომ ტალახში თავად გაისვრიან ხელს და მე არ მომხდება... ვისაც ხელი ტალახით აქვს დასვრილი თავის თავს აყენებს იმ ღირსეული ჟურნალისტების გვერდით, ვისაც მე ვიცნობ საბუნდუნოდ, არც თუ მცირე რაოდენობას... ადამიანის ღირსება მის არჩევანშია. ჩემი არჩევანი თავისუფლება, სხვათა პატივისცემა და დაცვაა. მე ჩემ წილ როლს შევასრულებ ამ ქვეყანაში, რომ უკეთესი იყოს სტანდარტი ადამიანის უფლებების დაცვის, ვიდრე იყო გუშინ.

„საერთო უკვეთი“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს ბია პოლსკი ესაუბრა.

— ბატონო ბია, უელსის სამიტის ჩართული დელეგაცია კმაყოფილი დაბრუნდა, თუმცა ნატოში შესვლის თარიღი ჯერ კიდევ უცნობია, როგორია თქვენი კომენტარი?

— ამასთან დაკავშირებით ბევრი განმარტება მოვისმინე და ვფიქრობ, ჩვენი ოპონენტების მტკიცება იმის თაობაზე, რომ წარუმატებელი იყო ეს სამიტი, არის პოლიტიკური ინსინუაციების ერთ-ერთი სემანტი, რომელსაც ისინი, როგორც წესი, მიმართავენ ხოლმე. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ნატოსთან ურთიერთობის ის ხარისხი, რომელიც განისაზღვრა ამ ფორუმზე და ეს სწორედ ის არის, რისი აუცილებლობაც პრაგმატულ ჭრილშია დასავლელი პარტნიორების თვალსაზრისით. ასე რომ, საკითხი იმის თაობაზე, რომ როდის იქნება თარიღი მაპის მოცემისა ან თარიღი ნატოში ჩვენი წევრობის, ეს არის ის საკითხი, რომლისთვისაც საკმაოდ მძლავრი და კარგი ბაზა შეიქმნა უელსის სამიტზე. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია უსაფრთხოება, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ნატოს ქვეყნებთან ურთიერთობა, ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ევროინტეგრაცია, არა პოლიტიკური კვლევებისთვის ვინაშე, არამედ იმ რეალური შედეგების მისაღწევად, რასაც ჰქვია ქვეყნის შემდგომი განვითარება, როგორც პოლიტიკური, ასევე თავდაცვის საშუალებების მხრივ. და აქ აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ჩვენი ოპონენტები, განსაკუთრებით, ნაციონალური მოძრაობის მყვირალა წარმომადგენლები რას იტყვიან.

— საქართველოში მიიღო ეწ „ოქროს ბარათი“, არის თუ არა ეს საკმარისი იმისთვის, რომ მაპის გარეშე მოვხვდეთ ნატოში? იქნებ გვითხრათ, რა არის ეს „ოქროს ბარათი“ კონკრეტულად?

— აქცენტი გაკეთდა ამ ჭრილში, მოგეცემენ თუ არ მოგეცემენ, საერთოდ, მაპს, არასწორია. და არც ის არის სწორი, რომ მაპი რაღაც პანაცეად გავიხადოთ და ვიძახოთ, რომ გინდა თუ არა, ახლავე, ამ ეტაპზე უნდა მოგვეცეს მაპი. დიახ, ვფიქრობ, ეს საერთოდ ის საკითხი არ არის, რომელზეც უნდა ვმსჯელობდეთ. რაც შეეხება ოქროს ბარათს, რაღაც ასეთი მფრინავი ფრაზა შეარჩიეს იმისთვის, რომ სახელი დაერქმიათ

ბია პოლსკი: „საქართველოს სჭირდება უსაფრთხოების გარანტიები და საქართველომ ეს გარანტიები მიიღო“



იმ ურთიერთობისთვის, რომელიც უელსის სამიტის შემდეგ იქნება საქართველოს ნატოსთან. ეს მხოლოდ დასახელებაა, ეს მხოლოდ ზედაპირია და ამის უკან თანამშრომლობის ის ფორმა დევს, რომელიც ჩვენი ჯარის მომზადებასა და ჩვენს ინტეგრაციას, არა მარტო სამხედრო, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით გულისხმობს. და ამაზე მეტად თუ მიგვაჩნია მაპი, ან თუნდაც წევრობა, რომლის დროც მოვა ერთ მშვენიერ დღეს, არასწორია, რადგან ჩვენ ამ სამიტის სერიოზული შედეგი მივიღეთ.

— სამიტის შემდეგ, 113-პუნქტიან დეკლარაციაში, საქართველო არაერთხელ არის ნახსენები, ხოლო 2 პუნქტი მთლიანად მას ეთმობა. რა წერია იმ 2 პუნქტში, რომელიც უშუალოდ საქართველოს ეხება? რას გულისხმობს კონკრეტულად?

— ძირითადი აქცენტი არის ის, რომ საქართველო მარტო არ არის იმ გამოწვევების წინაშე, რომელიც ახლა საქართველოს წინაშე დგას, ევროპულ უსაფრთხოებას და თუნდაც საერთაშორისო უსაფრთხოებას. ეს არის მთავარი აქცენტი და გზავნილი და ამის კონკრეტული დასაბუთება არის სწორედ ის ცენტრი, რომელიც საქართველოში შეიქმნება. ჩვენ ხშირად ვისმენთ ოპონენტებისგან (ოპონენტებიც არ მინდა დავარქვა მათ), ნაციონალური მოძრაობის რაღაც ცხელთავიან წარმომადგენლებისგან, რომ თითქოს პრემიერ-მინისტრს

უკეთ რომ „ემუშავა“, აუცილებლად მეტი ხარისხის ურთიერთობა გვექნებოდა, ვიდრე სამიტის შემდეგ გვაქვს. ეს განცხადებები კეთდება ერთადერთი მიზნისთვის - შექმნან ისეთი ატმოსფერო, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი დაიჯერებს იმას, რომ თითქოს საქართველოს მოთხოვნებით, ან მუშტის მაგიდაზე დაბრახუნებით შეიძლება მიღწიოთ იმას, რასაც ღმერთმა დაგვიფაროს და, ვთქვათ, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება რომ ყოფილიყო ქვეყნის სათავეში — მიადევდა. ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანის წარუმატებელი მცდელობა, მე ასე ვიტყვოდი, რადგან საზოგადოებას კარგად ესმის, რომ ის ხარისხი, რაც ჩვენმა მთავრობამ უზრუნველყო საქართველოს უსაფრთხოებისთვის, არის გამოხატულება საკმაოდ სერიოზული მოლაპარაკებებისა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გვექონდა. და არაფერ შუაში არ არის, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამასთან ის, თუ რას იტყვის „ნაციონალური“ რომელიმე წარმომადგენელი.

— თუმცა საქართველო ნატოსგან უკვე მესამედ იღებს „მაპზე უკეთესს“, მაგრამ არა თავად მაპს, რატომ?..

— ვიმეორებ, მაპის თემაც არის პოლიტიკური სპეკულაციების ერთ-ერთი მთავარი და დამახასიათებელი ნიშანი, რომ თითქოსდა მაპის მიღების რეალური შანსი გვექონდა და ჩვენ

ეს შანსი ხელიდან გავუშვი, ვინაიდან მუშაობა დაგვიკელით ამ მიმართულებით. აი, სწორედ ასეთი სურათის დახატვა უნდათ, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს მაპიც და წევრობაც ზუსტად იმ პერიოდში იქნება შესაძლებელი, როდესაც მსოფლიო იქნება ამისთვის მზად. ჩვენ მივიღეთ ხარისხი ურთიერთობების, რომელიც ბაზას ქმნის ნატოში წევრობისთვის და რომელიც უზრუნველყოფს აკეთებს საქართველოს მოსამზადებლად იმ გამოწვევების თავიდან აცილების მიზნით, რომლის წინაშეც ვდგავართ. საქართველოს, სამწუხაროდ, არ გააჩნია რესურსები, არც მატერიალური, არც პოლიტიკური და არც სამხედრო, რათა ყველა გამოწვევასა და ყველა საშიშროებას წინ აღუდგეს, ამიტომ თანამშრომლობის ის ფორმა, რომელიც შემოგვთავაზეს და რომელიც გარანტირებულად იქნება საქართველოსთან მიმართებაში, არის ის მაქსიმუმი, რომლის მი-

მალურად უსაფრთხო, რათა მან შეძლოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად განვითარება.

— რა უნდა გაკეთდეს ამისთვის, რომ საქართველომ მიიღოს მაპი?

— საქართველომ გაცილებით მეტი მიიღო ნატოსგან, ვიდრე ჩვენი ოპონენტები ლაპარაკობენ. აქ მიღება-არ მიღებაზე არ არის საქმე, რას მიიღებ და მაპი ერქმევა ამას თუ ოქროს ბარათი, არც ამაზე... საქართველოს სჭირდება უსაფრთხოების გარანტიები და საქართველომ ეს უსაფრთხოების გარანტიები მიიღო. დიახ, უსაფრთხოების გარანტიების ის რესურსი მიიღო, რომელიც მას სჭირდება ამ ეტაპზე. ჩვენი ურთიერთობები ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატში აუცილებლად განვითარდება. ეს იქნება ქვეყანა, რომელიც აუცილებლად მიადევს ეკონომიკურ მაჩვენებლებს, აუცილებლად მიადევს პოლიტიკურ და დემოკრატიულ მაჩვენებლებს, რომლებიც ნატოს სტანდარტს შეესაბამება პოლიტიკურად. და სამხედრო თვალსაზრისითაც, აუცილებლად მიადევს იმ სტანდარტს, რომელიც ნატოს შეიარაღებულ ძალებს გააჩნია. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, რათა, აი, ამ სტანდარტს მივადწიოთ. ეს სტანდარტი, რომელიც დღეს გვაქვს, ეს დღეს ურთიერთობებისა, რომელიც დღეს გვაქვს, არის გარანტია იმისა, რომ ამ გზაზე ვიმოდროთ უსაფრთხოდ, აი, ეს არის ჩვენთვის მთავარი.



ლებაც დღეს საქართველოს შეეძლო და რომლისთვისაც მიმდინარეობდა საკმაოდ ინტენსიური მუშაობა. ასე რომ, თუკი დღეს, ჩვენ, ვლაპარაკობთ საქართველო-ნატოს ურთიერთობაზე კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არავითარ შემთხვევაში არ არის პოლიტიკური კვლევება, ან ვიცი, ვინაშე თავის მოწონების მცდელობა, მცდელობას თუ დავარქმევთ, მეტს არაფერს. ასე რომ, ძალიან მშრალი პასუხი უნდა გავცეს, როდესაც საკითხს ასე ვიყენებენ და რაღაც პრეტენზია აქვთ შენს მიმართ. საკითხი ღვას ასე, ჩვენი მთავარი ამოცანა არის ის, რომ საქართველო გახდეს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი საერთაშორისო უსაფრთხოების. და ეს მარტო ჩვენი ინტერესი არ არის, ეს საერთაშორისო ინტერესიც არის, აქედან გამომდინარე, საერთაშორისო თანამეგობრობა არ ხელმძღვანელობს მხოლოდ საქართველოს სურვილებით. საერთაშორისო თანამეგობრობა ცდილობს, რომ საქართველო, როგორც მოკავშირე ქვეყანა გახადოს მაქსიმ-

ნებლებს, რომლებიც ნატოს სტანდარტს შეესაბამება პოლიტიკურად. და სამხედრო თვალსაზრისითაც, აუცილებლად მიადევს იმ სტანდარტს, რომელიც ნატოს შეიარაღებულ ძალებს გააჩნია. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, რათა, აი, ამ სტანდარტს მივადწიოთ. ეს სტანდარტი, რომელიც დღეს გვაქვს, ეს დღეს ურთიერთობებისა, რომელიც დღეს გვაქვს, არის გარანტია იმისა, რომ ამ გზაზე ვიმოდროთ უსაფრთხოდ, აი, ეს არის ჩვენთვის მთავარი. ეს რიტორიკით, განცხადებითა და ვიდაცა ცხელთავა პოლიტიკოსების პოლიტიკური ინსინუაციებითა და სპეკულაციებით არ წყდება და არც გადაწყდება მომავალში, თუკი არ იქნება პოლიტიკური სტაბილურობა, თუნდაც ქვეყნის შიგნით. სწორედ ამისკენ მიისწრაფვის „ნაციონალური მოძრაობა“, ხელი უნდათ, რომ შეგვიშალონ და ათას ლეზინფორმაციას აწვდიან დასავლეთს.

ქათი სოფერიპი 592 53 53 03



„იენა ყველაფერი ჯიბრულად მიღის!!! ყოველი ასეთი მკვლელობა ჩვენს ნისქვილზე ასხამს წყალს“

ერთი კაცის სიკვდილი ტრაგედიაა რჩება, ერთზე მეტის კი სტატისტიკად იქცევა, მაგრამ პატარა საქართველოსთვის, რამდენი კაციც მოკვდება, იმდენი ტრაგედიაა...

წინსწრებით ბოდიშს ვიხდი, თუ ერთგვარად ცინიკური ელფერი გადაეკრება „რაც ცეცხლის“ გახსენებას, მაგრამ მწარე სიმართლე ასეთია: – რომელი ხელისუფლება რა ციფრებს დადებს ქვეყნის აყვავების მაჩვენებლის სახით, მნიშვნელობა არ აქვს თვით ამ ქვეყანაში მაცხოვრებლებისთვის, რადგან კარგად ვიცით რა სიღუბნურად ვართ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. ბუნებრივი და ლოგიკური ამბავია, რომ ღარიბ ქვეყნებში მაღალი კრიმინალური ფონია, შესაბამისად, საქართველოშიც, ერთ სულ მოსახლეზე მეტ-ნაკლებად იგივე მდგომარეობა იქნება, რაც სხვა ღარიბ ქვეყნებში, მაგრამ აქცევს კი ყურადღებას ვინმე იმას, რომ იმ მძიმე კრიმინალური დანაშაულებებიდან, რომლებიც ხდება, არც ერთი არ ჩაუღვინა ე.წ. სააკაშვილის ციხეში ნაწამებ ადამიანებს თავიანთი მწამებლების (ან ოჯახის წევრების) მიმართ, როდესაც მათი, როგორც სამსახურები, ასევე საცხოვრებელი ადგილები ცნობილია?

მოსდა დანაშაული. საგამოძიებო საქმის ანა-ბანა უპირველესი კითხვა: – ვის აძლევდა ხელს ესა თუ ის დანაშაული? – და შემდეგ უკვე მთელი რიგი კითხვები დედუქციის მეთოდის ჩათვლით.

რა სურათი გვაქვს – ვთქვათ, ერთ შემთხვევაში, მკვლეელი ფსიქოტროპული მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა; მეორე შემთხვევაში – ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ; არც ერთი არ არის შემასუბუქებელი გარემოება, მაგრამ რა ვუყოთ ფხიზლად მყოფ მკვლელებს

(ე.წ. ჟურნალისტები) მიზეზთა და გარემოებათა გამო დავალებული იყო და მუდამ იქნება „ნაცხელისუფლებისგან“.

რატომ აქვს კონკრეტულ ეჭვს არსებობის უფლება

ჯერ კიდევ ახალი ხელისუფლების მმართველობის გარიჟრაჟზე გავრცელდა ყოფილი მსჯავრდებულის, ვინმე დოლიძის წერილი, პრობაციონერები დაგვიბარეს უბნის ინსპექტორებმა და მოგვთხოვეს კრიმინალის ჩადენაო...

„ბათუმი და ბათუმელები“: – „ყველამ წაიკითხეთ და გაავრცელეთ!!!“

აჭარის კუდის უფროსი თემურ პატარიძე შანტაუთ და მუქარით, ყოფილ პატიმრებს, ვისაც პირობითი სასჯელი აქვს, აიძულებს ოქტომბრის გამელობაში, განსაკუთრებით თვის ბოლოს დაიწყო მოქალაქეების მარცვა და ბანდითიში ქალაქში. ეუბნება მათ, რომ ექვს თვეში ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან და აქვთ ამისი გეგმა. მთელი საქართველოს მასშტაბით იგივე ხდება, მოგმართავთ ყველას იყავით განსაკუთრებულად ფრთხილად. მიემართავ ქართული ოცნებას იყავით ყურადღებით სანამ ესენი აკონტროლებენ ძალოვნებს და თვითმართველობებს არაფერი არ არის დამთავრებული. ეს ინფორმაცია ძალიან სარწმუნოა და ამას ამბობს ათობით ყოფილი პატიმარი, რომლებიც არ აპირებენ ამ ბინძურ საქმეში მონაწილეობას. მიაქციეთ ყურადღება ამ საქმეს განსაკუთრებით ჟურნალისტებმა!!!!!!!“

რატომაც, კონკრეტულად პედოფილების გააქტიურებას წინასწარმეტყველებდა, რომლებიც საშინელებებს ჩადენდნენ. მიხეილ სააკაშვილის „წუხილს“ ჩიორა თაქთაქიშვილი „ამყარებდა“, ფართომასშტაბიანი ამნისტიის კანონის მიღებამდე აფრთხილებდა ოპოზიცია (ნაცმომბრობა) ხელისუფლებას, რომ საჭირო იყო უფრო ფრთხილი დამოკიდებულება, რათა არ გაზრდილიყო კრიმინალი და ამასთანავე, ისიც ყურადღებას პედოფილიასა და გაუპატიურებაზე ამახვილებდა.

ჩიორასა და მის პრეზიდენტს არავინ ჰკითხა, თუ ასეთ საშიშ კრიმინალად მიგანჩნდათ პედოფილია, რატომ შეამცირეთ და დაიფანეთ 16 წლამდე ასაკის პირთან სქესობრივი კავშირის დამყარებისთვის დადგენილი თავისუფლების აღკვეთა 1-იდან სამ წლამდე, ხოლო ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირთან გარყვნილი ქმედების ჩადენა 2 წლამდე? არავინ შეახსენა მიხეილ სააკაშვილს, კი, მაგრამ, შენ არ ბრძანდებიდი პედოფილიის მუხლით გასამართლებულები რომ შეიწყალო?

შეწყალების კომისიის იმდროინდელმა თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომ შეწყალების კომისია არ განიხილავდა მძიმე დანაშაულებს, მათი შეწყალება პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილება (2012 წლის 1 ოქტომბრიდან 28 დეკემბრამდე) იყო, თუმცა, რითი ხელმძღვანელობდა ამ დროს, არ ვიცით.

რა სახის „წინასწარმეტყველებასთან“ გვექონდა საქმე, ვინ იცის, მაგრამ ფაქტია, რომ მართლაც ერთმანეთს წაეწყო პედოფილიის შემთხვევები...

ამ ტიპის დანაშაული ისე მიჰყვა ერთმანეთს ერთ კონკრეტულ რეგიონში, რომ მაშინვე ბუნებრივად გაჩნდა ეჭვი, ხომ არ იყო წაქეზებული ვისიმე მხრიდან. იგივე ეჭვა გაჩენილი ახლაც, რადგან 2012 წლის 1 ოქტომბრიდან იმავე წლის ბოლომდე უკვე ვადაგასულმა პრეზიდენტმა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულში ბრალდებული პირების შეწყალება ინტენსიურად დაიწყო და მისივე ერთპიროვნული ამნისტიით, შეწყალების კომისიის წევრების გვერდის ავლით, სასჯელადსრულების ადგილებიდან განთავისუფლდნენ განსაკუთრებული

რისკის ჯგუფების დანაშაულები (სხვათაშორის, არც ერთი მათგანი არ თვლიდა რომ უდანაშაულო იყო): პედოფილები, მკვლელები, ყაჩაღები.

(ამ რია-რიაში არავინ ითვლის რამდენია დაშავებული პოლიციელი; ასევე, არავინ არც კვებს რის ნიადაგზე მოხდა დანაშაული და ა.შ არც იმას აღნიშნავს ვინმე, პოლიციელებზე თავდასხმა კი არა, უახლოეს წარსულში პოლიციელისთვის ცული მზერა რომ გა-

(ბოროტების) ჭრისას, ნაფოტები (უდანაშაულო ადამიანების წამება-სიკვდილი) ცვიოდა...

სწორედ ამიტომ, დღეს ხან მცირედ აღნავი, მაგრამ დიდი „ნაცი“ ირმა ნადირაშვილი დემაგოგობს და სპეკულანტობს „მომძლავრებული კრიმინალური ფონის“ თემათ, ხან მიშას ჰარემად სახელდებული „ნაცვლიტის“ ქალები გვაძუნათებენ, ხან კი ინტელექტუალი „ნაცრეფისორპროკურორი“ იმუქრე-



ეყოლებინა რიგით გამგელს, რა მოელოდა მის ოჯახს, ახლა კი უცნაურ ვითარებაში დაჭრილი პოლიციელები მომრავლდნენ...)

ჭიკაიძე, ნალი სახლში! – ბანტაშვილის ვასი


როდესაც რუსთაველზე კარები იყო გაშლილი, მაშინ თქვა მიხეილ სააკაშვილმა, მე რომ ჩემი თავის ოპოზიცია ვიყო, სამ თვეში დავამხოდი ჩემს ხელისუფლებასო. მაშინ რა კონკრეტულ „მექანიზმებს“ გულისხმობდა, იქით იყოს, მაგრამ დღეს, ამ ეტაპზე რა სტრატეგია აქვს (აქვთ) პიარის დიდოსტატებს, ნათელია – მოსახლეობაში იქმნება პანიკური ნიადაგი, რომ კრიმინალური ფონის გაზრდის გამო ქუჩაში მშვიდად გადაადგილება შეუძლებელი ხდება; რომ ცოტა ხანში სახლებში შემოცველებიან კრიმინალები – მაგალითი სახეზეა, 4 წლის ბავშვი დაუთოვეს ვანის რაიონის ერთ-ერთ სოფელში (არავინ ამბობს, რომ აღნიშნული ქმედება ბავშვის დედის ბიძაშვილმა ჩადინა) და ა.შ ანუ, ადამიანების ქვეცნობიერში იდება იმ დროის მონატრება, როცა დანაშაულები, ყველანი, ან ციხეში იყვნენ, ან ადგილზე ხდებოდა მათი ლიკვიდაცია – რა ვუყოთ, თუ ხის

ბა ვიდაცების ყელის მარღვების გამოკვებით...

ნინა წკრილაშვილი: – „ჭიკაიძე, ან იმუშავე, ან წადი, ყოველდღე ვიდაცას კლავენ... მალე ვანოს დაუჩოქებთ. მეძახეთ გიჟი – მკიდა...“ შვილებს გიკლავენ ყოველდღე.“ (არავის ავონდება ამ მდგომარეობის როდესმე ვინმეს გიჟი ეწოდებინოს, ცოტა სხვაგვარად მოიხსენიებენ, თუმცა, მას თუ „ჭიკილია“, მისი ნება...)

თიკო საღუნისვილი, კიდევ ერთი „ნაცპრიმალონა“: – „ამ ბიჭების მკვლელებს ტრ...ში ცოცხები რომ გათხარონ, საპროტესტო აქციაზე რამდენი მოვა?“ (დამნაშავის ამ ფორმით დასჯას რა ქვეცნობიერი უნდა კარნახობდეს ქალს ნეტავ?)

ნიკა გვარამია: – „საქართველოს მთავრობავ, ჩემი ცოლი ვინმემ რომ დასეროს და 4 წლის შვილი დააუთოვოს (რაც ახლახანს მომხდარა ვანში), კბილებით გამოვლადრავთ ყელს თითოეულ თქვენგანს, იმის მიუხედავად, პირდაპირი კავშირი გაქვთ კრიმინალის კონტროლთან, თუ არა. ერთერთს რომ გიბოვიან ყველა მოლადრულს, იქნება დანარჩენებმა ყურები გაოიფხიკონ, სხვანაირად საშველი არ ჩანს, გამოცხადებული სიკვდილის



(ქურდებს, ყაჩაღებს და ა.შ) ან აბსოლუტურად ფხიზელ პედოფილ მოძალადეებს, ასე ერთი ხელის აქნევით რამ მოამრავლათ? – გაჩნდა ეჭვი, რომ ამგვარი ფონი გამიზნულად იქმნება და პიარდება იმ მასშედიის საშუალებებით, რომელთა შემოქმედებითი კოლექტივი

რადღება ამ საქმეს განსაკუთრებით ჟურნალისტებმა!!!!!!!“

უკვე ვადაგასული, მაგრამ მაინც საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტად წოდებული მიხეილ სააკაშვილი ახალი ხელისუფლების მიერ ფართომასშტაბიანი ამნისტიის კანონის მიღების შედეგად, ერთხანს,





ქრონიკაა ჩვენს ქუჩებში.“ (ის, რომ საკუთარი ოცნება გაამყარა ბატონმა გვარამიამ ახალი ხელისუფლების ცალკეულ პირთა მიმართ, ერთია, მაგრამ ძალიან საინტერესოა, რატომ არის ამ შემართების ადამიანი იმის გამპროტესტებელი, მისივე საზომით რაც ეკუთვნის თვით მას იმ ადამიანებისგან (ან მათი ჭირისუფლებისგან), რომლებიც მისმა დადგენილმა „საბრალდებო-დოკუმენტურმა“ ფილმებმა დასერეს, გამოადრეს და წამებთა თუ გაუპატიურებით მოკლეს?)

ალექსანდრე ჭიკაიძის კონკრეტული დანაშაული, როგორც წინა ხელისუფლების დროინდელი პოლიციელისა ხალხის მასობრივ დარბევებსა თუ დაპატიმრებებში, მიუხედავად ვიდეოების დიდი მცდელობისა (ლოგიკის მოშველიებით, „მერაბიშვილის დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციელი“) არ გამოიკვეთა, ამდენად, ხალხმა ჭიკაიძე არ შეიძულა; დიდი რაოდენობით ნარკოტიკის ამოღება რომ წაეწყო ერთმანეთს, „თალიბანი“ პიროვნება ჰკონია ჭიკაიძისო (ასე დაწვრილმანებით, მერაბიშვილს რომ „ლიტვა“ ქალაქი ეგონა, არა უშავს), მასხრად იგდებდნენ – არ გაჭრა; ირაკლი ლარიაშვილის სიმამრის მეგობრის თუ ნათესავის შვილიაო – არ გაჭრა... და აი, წაეწყო მძიმე დანაშაულებები ერთმანეთს და დადგა გადამწვევტი შეტევის დრო – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უნაროა, აგვისტოში დაჭრამკვლელობების რიცხვმა კატასტროფულად იმატა და უარესია მოსალოდნელი, ამიტომ, გადადგეს ალექსანდრე ჭიკაიძე!!! (არადა, წინა წელთან შედარებით ივლისის თვის ჩათვლით 17%-ით იკლო კრიმინალმა)

ისეთი მიზანმიმართული ისტერიკა ატყდა ტელევიზიებში, ოდნავ გაუწონასწორებელი ფსიქიკის ადამიანი აპათიაში ჩავარდებოდა... სანამ პრემიერმა საგანგებოდ არ აღნიშნა, ხელოვნურად ხდება ამ თემების აწვევა, არ გაჩერდნენ.

ღარბაშვილი ცუდი შს მინისტრი იყო (ივანიშვილის კა-

ნდილატურა იყო); ჭიკაიძე ცუდი შს მინისტრია, (ღარბაშვილის კანდიდატურა) – საინტერესოა, ვის თვლიან „ნაცებში“ შს მინისტრის თანამდებობის ღირსად როცა ვანო მერაბიშვილი ციხეშია; ციხეშია ბაჩო ახალაია; „დათა ახალაია და კამპანია“ გაქცეულები არიან, სხვა კიდევ ვინ არის (არაინ) „სიშვილის“ დამამყარებელი?

ჭიკაიძე ფორმალურადაა შს მინისტრი, რეალურად სამინისტროს პრემიერის ნდობით აღჭურვილი პირები, ზედღაშვილი და ჯანყარაშვილი მართავენო; ბადაშვილი ფორმალურადაა მთავარი პროკურორი, პროკურატურას ისევ ფარცხალაძე მართავს... ამიტომ, გადადგენ დანაშაულები: ჭიკაიძე და ბადაშვილი!!!

„ყოველი ასეთი მკვლელობა ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს“, – დაწერა საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე გოგა ხაჩიძემ როგორც კი აბაშიძეზე მომხდარი მკვლელობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა.

„მოლით მალე. მეორეც მომხდარა ლილიში. იმენა ყველაფერი ჯიგრულად მიდის!!! ამ ჯგუფიდან არ გავა იმედია ეს სტატუსები“, – მეორეჯერ გამოხატა სიხარული ადამიანის მკვლელობაზე ხაჩიძემ. ახლა ვიდეოები ამბობენ, ეს ფაბრიკაციააო და ხაჩიძეს, სინამდვილეში, ასეთი სტატუსი არ გამოუქვეყნებიაო, მაგრამ, მოუგონეს, ვითომ?..

თუმცა რა არის გასაკვირი, ათასობით დანაშაულო ადამიანისა და მათი ოჯახების მოკვლა-გაპარტახებას უკრავდნენ ტაშს პარლამენტში... (ოუთუბიზე – გიორგი ცაგარეიშვილის გამოსვლა პარლამენტში 3.38 წუთიდან)

ჭიკაიძე კი არა, შერლოკ ჰოლმსი ვერ განსაზღვრავს სამილიონიან ქვეყანაში რომელი ოჯახის დიასახლისის დასერავს საკუთარი ბიძაშვილი და მის მძინარე პატარას უთოთი დასაწვავად გაიმეტებს...

სათანადო უფლებებით აღჭურვის გარეშე რომელი ჭიკაიძე (შსს უწყება) ან ბადაშვი-

ლი (მთავარი პროკურატურა) გაუმკლავდება ჯერ მხოლოდ მათსავე უწყებაში ჩატოვებულ „ნაცონტინენტს“ (ინფორმაციის გამოტანა) და შემდეგ თუნდაც მხოლოდ იმ 1359 მსჯავრდებულს, რომელიც 1 ოქტომბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით შეიწყალა მიხეილ სააკაშვილმა და სრულად გაათავისუფლა.

პოლიტპატიმართა გათავისუფლება აქვთ წინ მოგდებული „ნაცდემავგებს“ და საზოგადოება ვერ ხედავს პასუხს, რომ ფაქტად დაუდონ: – სააკაშვილის მიერ მხოლოდ 1 ოქტომბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით 1544 გათავისუფლებულ-შეწყალებული პატიმრიდან მძიმე დანაშაულისთვის სასჯელს იხდიდა 723; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის-

ბის კონკრეტულ წევრთა წინააღმდეგ ნაცადი პიარ-მანქანა, „ეკა ბესელიას შვილი გარეულია მკვლელობაში და „ოცნება“ ხელს დააფარებს დანაშაულებს“; „მკვლელის დედა „ოცნების“ აქტივისტი იყო და ხელი-სუფლება ხელს დააფარებს დანაშაულებს“; მკვლეელი ჭიკაიძის ნათესავია და გამოდიება ხელს დააფარებს დანაშაულებს“; „მკვლელის ადვოკატი მანანა კობახიძე იყო“; ბიძინა ივანიშვილმა და ეკა ბესელიამ უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა ამინსტიით განთავისუფლებულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო“ და ა.შ.

სტატისტიკის ხსენება მკაცრად უარყოფითი ემოციის გამომწვევე გახდა, არადა, სტატისტიკაა სწორედ ის რეალური მაჩვენებელი, მართლა

ცოდნის გარეშე უხაროდა, აი, რა ფხიზლადაა პატრული, კრიმინალისგან როგორ გვიცავსო. იგივე შინაარსი იდო ბუტა რობაქიძის მკვლელობის შემთხვევაშიც, ზურა ვაზაგაშვილის და ა.შ და არც არავინ აღშფოთებულა, სანამ სიმართლე არ გაირკვა... (რა ჩამოთვლის ყველა მოკვლევის ვინაობას, მაგრამ რატომაც ყოველად უდანაშაულო კირაკოზიანი მოკლა პატრულმა მხოლოდ იმიტომ, რომ მოტოციკლით მიმავალი მყისიერად არ გადავიდა სავალი გზიდან, თავაშვებული ცინიზმიც აღარ ჰქვია...)

გურამ დონაძე რა კაცია, სხვა საკითხია, მაგრამ მასზე დაკისრებული საქმის არსში ძირფესვიანად იყო გარკვეული და შესაშური პროფესიონალიზმით წარმოადგენდა რო-



თვის – 532; განზრახ მკვლელობის მუხლით გასამართლებული – 38; დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით მსჯავრდებული – 11; ქურდობის მუხლით – 364; ყაჩაღობის მუხლით – 94; მათ შორის, ორი ე.წ. „კანონიერი ქურდი“, ელგუჯა გურჩიანი, რომელსაც 24-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი და იოსებ სორდია, რომელსაც 2015 წელს ეწურებოდა პატიმრობის ვადა. ასევე, პირები, რომლებიც მანამდეც ჰყავდა შეწყალებული, თუმცა განმეორებით ჩაიღინეს დანაშაული და მაინც, კიდევ ერთხელ შეიწყალა.

რა აქვთ ბათვლილი „ნასპიაროქიკა“

ფაქტია, რომ „ნაც-მომრობის“ (არა მხოლოდ) მთავარი ამოცანა შსს-ს დისკრედიტაცია და ზოგადად, მთავრობის დასუსტება-დაკნინებაა, რაშიც კვლავ და კვლავ მასმედია ეხმარება. მოკლედ რომ ვთქვათ, უპირველესი განსახორციელებელი ჩანაფიქრია ის, რომ აგრესიამ უნდა იკლოს დანაშაულში ეჭვმიტანილი „ნაცების“ მიმართ.

ჭიკაიძის გადადგომის მოთხოვნის პარალელურად ამუშავდა დეზინფორმაციისა და მთავრო-

გაიზარდა თუ არა კრიმინალი არა მხოლოდ წინა წლებთან შედარებით, არამედ თვის განმავლობაში, სხვაგვარად, მხოლოდ ის რჩება ტვინში, რა ინფორმაციაც ზედიზედ მიაწოდეს გამიზნულად (ამ საქმესაც ცოდნა უნდა ბიძია!)

მკვლელობების (ადამიანთა გაუჩინარება და თვითმკვლელობები საეჭვო გარემოებაში) მეტი რა ხდებოდა „ნაცრეჟიმის“ დროს, მაგრამ მაშინ მკაცრი კონტროლი ხორციელდებოდა საინფორმაციო საშუალებებზე. ამგვარი შინაარსის მატარებელი გადაცემისთვის გამოყოფილი იყო გვარიანი ფინანსებიც, საეთერი დროც და ფორმატიც. გადაცემა „პატრულს“ საკუთარი თავის იმხელა და იმდენად სერიოზული პიარ-კამპანია ჰქონდა გაშლილი უწყვეტ რეჟიმში, რომ ხალხს პატრული შეუყვარდა, მართლა მხსნელად და მშველელად მიაჩნდა და ვინ იცის, როდემდე გასტანდა ეს სიყვარული, მაგანთა სავალალოდ გირგვლიანის ამბავი რომ არ „გამოიხერხილიყო.“

პირდაპირ ამბობდნენ „პატრულში“, მაგალითად, რომ პოლიციისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას, ორმხრივი სროლის დროს ადვილზე ლიკვიდირებული იქნა (ან იქნენ) კონკრეტული საშიში დანაშაულები და ხალხს მისთვის უცნობი ადამიანის მოკვლა საქმის რეალური ვითარების

გორც პატრულის ღირსებას, ისე ხელისუფლებისთვის სასურველ ვერსიებს...

დღეს, როგორც სტატისტიკის ხსენება გახდა სამარცხვინო, ისე პიარი არ მიაჩნია ვიდეოს საჭიროდ, არადა, გარეთ 21-ე საუკუნეა, პიარზე აგებული ცხოვრება. არარსებულის პიარი ერთი მხარეა და მეორეა გაკეთებული საქმის საზოგადოებისთვის გაცნობა. მარტივ მაგალითს ვიტყვი: ორიოდე დღის წინ „დღევრტირების ბაზარში“ საღამო ხანს ერთი საშუალო კონა ქინძი 1,50 თეთრი ღირდა – აღარაა გენაცვალე, მწვანელი, გადახსულია მთელი მინდვრები; ატიმია და ვაშლატამას ფასმა 1 ლარზე დაბლა არ დაიწია – გააქვთ, გენაცვალე; დასავლეთიდან მომავალ საავტომობილო მაგისტრალზე ავტობანის კეთება გამალებულ ტემპში მიმდინარეობს, მაგრამ ეს მხოლოდ მან იცის, ვინც გვერდზე ჩაუვლის, თუმცა, ვერ აღიქვამს რაიმე განსაკუთრებულ ამბავს; იძულებით გადაადგილებულებს საკუთარი ჭერი მისცა სახელმწიფომ და მხოლოდ წამიერად შეავლო თვალი მაყურებელმა და ისიც ერთ საინფორმაციო გამოშვებაში... რამდენი რამის ჩამოთვლა შეიძლება, რაც კეთდება და არ ჩანს, მაგრამ არაო, პიარი არ გვიხდა, საქმე გამოაჩენს საკუთარ თავსო...





დეურ გიორხელიძე: ის, რას დიდა რაა დააღაა, შეიღაა მხოლოდ ახალი დიდი რაის შეღაააა გადააღაა

გვესაუბრება ანალიტიკოსი დეურ გიორხელიძე:

– ბატონო დეურ, ბოლო დროს მსოფლიოში პროცესები საინტერესოდ ვითარდება. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ბრძოლის გამწვავება და ამ ფონზე სადა ჩვენი როლი და ადგილი?

– სიმაღლე გითხრათ, ყველაფერი რაც ხდება, აბსოლუტურად ურთიერთკავშირშია და გლობალური პოლიტიკის თვალსაზრისით ერთიან სტრატეგიას ექვემდებარება. ჩვენ, ასეთი თვალთახედვიდან მიმდინარე მოვლენების შეფასებას მიჩვეული არ ვართ. სინამდვილეში, ურთულესი გეოპოლიტიკური, კონკურენტული ბრძოლა მიდის, რაც არც არასდროს შეწყვეტილა. ახლა სხვა სტადიაა. ბრძოლა იმ დიდა კრიზისმა გააძვავა, რომელიც 2008 წელს, ჯერ ფინანსური, შემდეგ ეკონომიკური კრიზისის სახით დაიწყო. არც აშშ, არც ევროკავშირი ამ კრიზისიდან სრულად გამოსული არაა, აღარაფერს ვამბობ სხვა ქვეყნებზე. ამდენად, ეს კრიზისი მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მოთამაშეებს გარკვეულ ლოგიკას კარნახობს – იგი გამოყენებულ იქნას კონკურენტების შესასუსტებლად, საკუთარი მიზნების, ინტერესების გასაძლიერებლად და დასაცავად. როგორ პროზაულადაც არ უნდა ჟღერდეს, მსოფლიოს მთავარი მოთამაშეები საკუთარი ინტერესების ფარგლებში მოქმედებენ, დანარჩენს – ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ლექსიკას, მოქმედებებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ქართველებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც უკრაინის, ისე ახლო-აღმოსავლეთის კრიზისს, რადგან ეს ჩვენზე უშუალო ზეგავლენის პროცესებია, ძალიან ახლოს მიმდინარე. განსაკუთრებით საყურადღებოა ახლო-აღმოსავლეთში ერაყი-სირიის ერთობლივი კრიზისი, ისლამური ხალიფატის – ისლამური სახელმწიფოს კონტურების გაჩენის პერსპექტივა, რომელიც ცხადია, გარკვეული ინტერესების სფეროს წარმოადგენს. დღეს უკვე აღარაფერს ვამბობ, რომ ისლამურმა სახელმწიფომ – ერთიანმა ხალიფატმა, გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსეთს პრობლემები უნდა შეუქმნას და მისი საპირწონე უნდა გახდეს. ერაყი-სირიის მოვლენებთან ასევე,

უშუალო კავშირშია უკრაინაც. აქაც, დასავლეთის მთავარი მოწინააღმდეგე რუსეთია. უკრაინამ რუსეთს პრობლემები უნდა შეუქმნას. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ უკრაინისკენი რამდენიმეწლიანი კამპანიის შედეგად – ნატოს ავტორიტეტი, მისი მნიშვნელობა, გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობა, დასავლეთში, საკმაოდ სკეპსის იწვევდა, დაიბუჭდა უამრავი კრიტიკული სტატია. ალბათ, საჭირო იყო გარკვეული ტექნოლოგია, დაძაბულობა, რომელიც იმ საფრთხის და მტრის ხატს შექმნიდა, რომლისგანაც დაცვა აუცილებელია. დღეს, შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ – უკრაინის კრიზისმა მისი მთავარი ამოცანა შეასრულა. ეს ამოცანა, ძირითადად, ორია – პირველ რიგში, გაჩნდა ნატოს მოდერნიზაციისა და გაძლიერების დასაბუთების საფუძველი, მეორე – მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებული ევროკავშირი-რუსეთის ინტეგრაცია შეჩერდა, კავშირები, გარკვეული მიზნით, ჩაწყდა, რითაც რუსეთს კიდევ უფრო დიდი პრობლემები შეექმნა. ეს აშკარაა. ორივე მიზანი მიღწეულია. აღმოჩნდა, რომ რუსეთს უფრო ნაკლები მეგობარი ჰყავს. კრიზისულ სიტუაციაში დასავლეთი, ევროპული სახელმწიფოები უფრო ამერიკის მხარეს არიან. თუმცა დღეს, შეგვიძლია, ამ კონფლიქტში, ევროკავშირის უმთავრესი ქვეყნების სერიოზულ შეცდომაზეც ვისაუბროთ. კერძოდ, ყურადღებას გვრამაზავს შეგვიძლება ვთქვათ, გერმანიას, გარკვეულ პერიოდში, დამოუკიდებელი თამაშის პოტენციალი ჰქონდა, მაგრამ როცა კრიზისი გამწვავდა მას შეეძლო აშშ-სა და რუსეთს შორის ხიდის როლი შეესრულებინა, მან ეს თამაში უბრალოდ ვერ გაქაჩა, რაც დაქვემდებარებულ პოლიტიკაში გადაიზარდა.

– რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ამ გადმოსახედიდან, ვინ იხეირა ან ვინ დაზარალდა ამ პროცესებით?

– ამის განაღვივებას წლები სჭირდება. ერთი, რაც შეგვიძლია ვთქვათ – ამ დაპირისპირების შედეგი, ჯერჯერობით,

გარკვეული არაა. უახლოესი ორი წლის პოლიტიკას თუ გადავხედავთ, როგორც დასავლეთის, ისე რუსეთის, ასევე, ამ კონფლიქტში ჩართული სხვა მთავარი სახელმწიფოებისა, იგივე თურქეთის, ჩინეთის, რომელიც ამ დაპირისპირებაში ირიბად მოქმედებს და ყველაზე სერიოზული ინტერესი გააჩნია, აღმოჩნდება, რომ ჩვენ კვლავ მოუწევს რეგულირებას საერთაშორისო თამაშების წინაშე დადგებით, ანუ ის, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დაღადა, გაკლებული იყო წითელი ხაზები, დღეს, დარღვეულია. გამოვდივარ შემდეგი პრინციპიდან – ის, რაც დიდა ომმა დააღადა, რადიკალურად, შეიძლება მხოლოდ ახალი დიდი ომის შედეგმა გადააღაგოს. მანამდე კი გაგრძელდება დაპირისპირებები, რომლებსაც არაერთი სახელმწიფო შეეწირება. ჩვენ, უკვე შეგვიძლია ავწონოთ, რა დავეკარგეთ უახლოესი 20 წლის განმავლობაში. ამ ტრანსფორმაციის პროცესში საშინლად დავზიანდით. იგივე გზას დააღადა უკრაინა, რომელიც იმ საზღვრებში, რომელიც მას ევროპის



ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოდ აქცევა და განვითარების ძალიან დიდი პერსპექტივა ჰქონდა, წელში ვეღარ გასწორდება. უკრაინა გეოპოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი გახდა. ჩვენ, უზარმაზარი დანაკარგი გვაქვს, მაგრამ ამ დაპირისპირებაში, ეს ბოლო არ არის.

– ჩინიდან გამოსასვლელად რა პოლიტიკას აწარმოებს საქართველო?

– საქართველოს პოლიტიკას თუ გადავხედავთ, რომელიც წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით არაა ნაკარნახევი და მასში საღი აზრის პოლიტიკა სა-

ერთოდ არ დევს, ესაა აბოლოგეტური, ცალმხრივი პოლიტიკა, რომელიც იმ უბრალო რეალობას არ ითვალისწინებს, რომ საქართველო, პირველ რიგში, სამხრეთ-კავკასიური სახელმწიფოა. სამხრეთ-კავკასიაში კი მოვლენების განვითარების თავისებური ლოგიკაა და იგი მსოფლიო პოლიტიკის, ახლო-აღმოსავლეთთან და შუა აზიასთან ერთად, ეპიცენტრია. ამიტომ, ცალმხრივი მოქმედებები, რომელიც სტაბილური განვითარების საშუალებას არ იძლევა და დღეს ყველაზე სტრატეგიულ – უსაფრთხოების სფეროში მყარ გარანტიებს არ ქმნის, ყოველთვის საშიშია. მყარ გარანტიებს ცალმხრივად, ვერც რუსეთი მოგვცემს და ვერც დასავლეთი. რუსეთთან ურთიერთობაში საჭიროა 200 წლიანი ისტორია საერთოდ დაივიწყოთ და პრაგმატული მოსაზრებებიდან გამოვიდეთ, იმ პრიორიტეტით, რომელსაც ხელს ვერ ვახლებთ, ესაა სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხები. ჩვენ და რუსეთს, უსაფრთხოების თვალსაზრისით, შეხების წერტილი გვაქვს. საქართველო რუ-

ნიების სივრცე ვერ იქნება, ამას, აუცილებლად, სერიოზული დაპირისპირება მოჰყვება. უკვე აშკარაა, რომ უმთავრესი დაპირისპირება მსოფლიოს მთავარ მოთამაშეებს შორის ირანისა და კასპიის ნავთობზე და ზოგადად, ენერგომატარებლების ევროპაში ტრანსპორტირების გზებისა და ამ რესურსებზე კონტროლის საკითხები იქნება. ეს თემა დღეს უფრო გამაძვარებელია. ახლა საერთოდ ახალი ეტაპია. ამ ინტერესებიდან გამომდინარე, მიდის დაპირისპირების ცენტრების შექმნა, ურთიერთკავშირში მყოფი ცენტრებისა, როგორცაა ერაყი, სირია და უკრაინა, რომლებმაც მთავარი კონკურენტი მოთამაშეები უნდა გააწონასწოროს. აქედან რა გამოვა, დღეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს დაპირისპირება რომ ხანგრძლივი იქნება, ცხადია. ომს ყველა მოერიდება, მაგრამ ჩაურევლობა და საკუთარი ინტერესების – მარიონეტული ჯგუფების დაფინანსებით უზრუნველყოფა კვლავაც გაგრძელდება. ამიტომ უნდა მოველოდეთ შემდეგ – თუ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი აზროვნება არ გამოიღრდა, თუ კონტრ.ელიტა არ ჩამოყალიბდა, რომელმაც შესანიშნავად იცის რა პროცესები მიმდინარეობს, ისე არაფერი გვეშველება. ეს კონტრ.ელიტა მოსურნე უნდა იყოს დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობის, მაგრამ არა რუსეთთან კონფრონტაციული და ამ ურთიერთობის ომის გიჟურ სტადიაზე მიყვანის მსურველი, არამედ პირიქით, უსაფრთხოების პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთთან და სხვა მეზობლებთან საერთო ენა უნდა გამოიძებნოს.

– რუსეთის საფრთხის გარდა, რა გამოწვევები ელის კიდევ საქართველოს?

– საქართველოს, უახლოეს პერიოდში და გრძელვადიან პერსპექტივაში არანაკლები პრობლემა თურქეთთან ელის. ეს მძლავრი, ამბიციური სახელმწიფოა, რომელსაც ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს და სხვებისგან განსხვავებით, ასეც იქცევა. ასეთ ვითარებაში, სერიოზული მოსაზრებების ჩამოყა-





ლიბებისა და კულტივირების პრობლემა დგება. იმიტომ, რომ ცალკეულ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებში ჩამოყალიბებული შეხედულებები საზოგადოების საკმაოდ ფართო ნაწილისთვის მისაღები უნდა გახდეს. ყველაფერი კრიტიკულად უნდა გაიხილოს, რადგან სერიოზული საფრთხის წინაშე ვართ. გეოპოლიტიკური დაპირისპირება არ შეჩერდება. საქართველო უკვე დამარცხებულია. ქვეყანა უსაშველო მდგომარეობაშია – გარდაიბნეული, ტოტალურ უმუშევრობაში ჩაფლული, უზარმაზარი მიგრაცია, პერსპექტივა უკეთესობისკენ, არ ჩანს. ამიტომ, პოლიტიკაც ჩამოსაყალიბებელია და ხელისუფლებაზე ზეწოლა საჭირო.

რამდენიმე წლის წინ თავს უფლება მივეცი ძალიან რადიკალური რამ მეთქვა: დღეს, ჩვენი არაკეთილმოსურნეების პოლიტიკა მიმართულია იქეთკენ, რომ მსოფლიო საზოგადოების წინაშე საქართველო წარმოდგენილი იქნას, როგორც უუნარი, არშემდგარი, თვითდაშლადი სახელმწიფო. ცხადია, ამ მიზნის რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიების მიტაცებას მხოლოდ ერთი

ულში თუ მეტი არა, საქართველოს ნატოში გაწევრიანების არანაირი პერსპექტივა არ აქვს. ყურადღება, რომელსაც ალიანსი საქართველოს მიმართ იჩენს სრულიად გასაგებია – ეს რუსეთის საწინააღმდეგოდ მიმართული ნაბიჯია და არა საქართველოს როგორც საკუთრივ სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გეოპოლიტიკაში არ არსებობს კეთილი შესტები და „პრეზენტები“, რომელსაც თავიანთი ინტერესები არ მოჰყვება. დღეს ასეა საჭირო იმიტომ, რომ ესაა რუსეთზე მუდმივი ზეწოლის მექანიზმი და მათგან მუდმივი წინააღმდეგობა. და კიდევ, შემიძლია სრულიად განსხვავებული აზრი გამოვთქვა – საქართველო, ომის შედეგების გარეშე, ნატოში ვერ შევა. თუ ომში გაიმარჯვებს ანდა მსოფლიოს მთავარი მოთამაშეები ერთმანეთთან გარკვეულ სტრატეგიაზე შეთანხმდებიან, მხედველობაში მაქვს რუსეთისა და ნატოს ურთიერთობა, მაშინ ეს შეიძლება მოხდეს. კონფორტაციულ რეჟიმში, საქართველო, ვერსად შევა. ან საქართველო ნატოში ისეთი მდგომარეობით შევა, როდესაც სახელმწიფო აღარ ერქმევა, რასაც სერიოზული გართულებები მოჰყვება, ღმერთმა დაგვიფაროს მსგავსი რამისგან. კერძოდ, ამას სერიოზული ტერიტორიული დანაკარგი მოჰყვება. ამიტომ, ქართული პოლიტიკა პრაგმატული უნდა იყოს. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ჩვენ ორიენტაცია უნდა შევიცვალეთ, ეს გამორიცხებულია.

– **ოქროს ბარათი ზუთმა ქვეყანამ – ავსტრალიამ, ფინეთმა, სერბეთმა, საქართველომ და მაკედონიამ მიიღო. ფინეთი და საქართველო რუსეთის მოსაზღვრე ტერიტორიებია და რას მოსწავლავს ეს ნაბიჯი?**

– ეს ყველაფერი რუსეთთან ურთიერთობასთან უშუალო კავშირშია. ფინეთ-რუსეთის ურთიერთობა ათწლეულებია ჩამოყალიბებულია, რთული პერიოდიც გააჩნია. ფინელები გონიერი, საოცრად განვითარებული, მაღალინტელექტუალური ხალხია, საკუთარი ქვეყნის და ხალხის წინაშე უზარმაზარი პასუხისმგებლობა აქვთ. ამიტომ, ფინელებისგან სისულელეს არ უნდა ველოდოდ. ისინი ეცდებიან პრაგმატულნი იყვნენ. ნაკლებად მჯერა დღევანდელი ქართველი პოლიტიკოსების პრაგმატულობისა იმიტომ, რომ უდიდეს ნაწილს არაფერი დამოუკიდებელი არ გააჩნია. ტელევიზიით ისეთი პროპაგანდა მიდის თითქოს ზვალან წლის ბოლოს ნატოში ან ევროკავშირში გვიღებენ. ამის ნაცვლად, მთავრობას ურჩევნია, საქმეს მოკიდოს ხელი და ამ მოძველებულ პროპაგანდას შეეშვას. ინფორმაციული, სწორი ტექნოლოგიების გამოყენებით, მთავრობას უფრო სერიოზული რამ აქვს გასაკეთებელი – მან „ნაცმოძრაობის“ ანტისამთავრობო, ანტისახელისუფლებო პროპაგანდის გადაფარვა ვერ მოახერხა. ევროპაშიც, ქვეყნის გარეთაც და შეგნითაც მიზანმიმართული მკვლევარი პროპაგანდა იმარჯვებს, რომელსაც „ნაცმოძრაობის“ ლიდერები ეწვევიან. ამიტომ, მთავრობას საფიქრალი აქვს და ეს არაფრისმოძებანი ყოველდღიური მუშტრა გონებისა, თითქოს ნატოში მიგვიღეს და უფრო კარგად ვართ ვიდრე შეიძლება ვიყოთ, არაგონიერულობის შედეგია, რადგან ამ პროპაგანდას საქმე არ მოჰყვება.

თამარ შველიძე
555 23 28 24



ქვეყანა არ ეცდება. დაძაბუნებულ, დაჩოქილ, უაზრო პოლიტიკის ტყვეობაში მოქცეულ ქართულ სახელმწიფოს დარჩენილ ტერიტორიებს სულ ცოტა სამიოთხი ქვეყანა წაეპოტინება. რეალურად, დაახლოებით, მონახაზები მაქვს, უბრალოდ, დღეს ამაზე აქცენტს არ ვაკეთებ. ამაზე 4-5 წლის წინ ვსაუბრობდი. რეგიონი, გაჩენილი ისლამიზაციის გამო სრულიად ახალი საფრთხის შემცველია. ამკარაა, გავა რამდენიმე წელი და პრობლემები გაჩნდება. ისლამური ხალიფატის შექმნა, საქართველოში, უზარმაზარ პრობლემას გააჩენს. რუსეთისათვის გარანტიის მიცემა, რომ ჩვენთვის დამოუკიდებელი იქნება, უშუალოდ საქართველოს საზღვრებზე საშინელი დაძაბულობის გაჩენას ნიშნავს.

– **4-5 ქვეყანა შეეცდება ჩვენს დანაწილებას, ბრძანეთ. ანუ ის გველის, რაც ჩვენთვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაემართა?**

– რა თქმა უნდა. დღეს, ამაზე ჩვენი მეზობელი ქვეყნები დიად არ საუბრობენ, მაგრამ კრიზისულ სიტუაციაში ყველას თავისი ამბიცია ექნება. აუცილებლად იქნება ასეთი ქვეყნები, თუ ვინ მოდით ეს თემა შემდეგი საუბრისთვის გადავლოთ. ახლა, მხოლოდ საფრთხეს ვზომავ და გეტყვით რომ ეს საფრთხე რეალურია.

– **რაც შეეხება სამიჯს, მივიღეთ ოქროს ბარათი და პირობა რომ მომავალ წელს ნატოს წევრი გავხდებით. როგორია თქვენი მოსაზრება?**

– ვფიქრობ, ოქროს ბარათობანას თამაშები შეიძლება ვიდაცისთვის სასიამოვნო იყოს, მაგრამ რეალური პოლიტიკის თვალთახედვიდან, უახლოეს ათწლეუ-



უნდა გავეუმწაროთ ცხოვრება ხალხს, რომ იგი იბულებული გახდეს, ძალით დაამხოს გამსახურდიას ხელისუფლება.

... როცა წავა გამსახურდია, მე გამოვალ ინიციატივით, რათა შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდეს.

... ჩემი აზრით, საქართველო შევარდნაძისთვის მთავარი მიზანი არ არის. იგი სერიოზული მასშტაბის პოლიტიკოსია და საქართველო მისთვის პატარა ქვეყანაა. ასე რომ, ლაპარაკი, თითქოს შევარდნაძე მზადაა ჩამოვიდეს, რათა პრეზიდენტად დადგეს, სისულელეა“.

ჭურნალი „ოგონიოკი“, დეკემბერი, 1991 წელი, № 52.

„ირაკლი ჭყავიანი“: პრეზიდენტი უნდა გადადგეს.

როგორ ანგრივდნენ საქართველოს ქართველები

უახლესი ისტორიის მწარე გაკვეთილები

1991 წლის შემოდგომაზე სსრკ-ის რღვევის პროცესმა მძაფრი პოლიტიკური პროცესები განავითარა. საქართველოს რესპუბლიკაში ამ პროცესებმა ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალების ფორმა მიიღო. ასეთ ვითარებაში მათ, ვისაც ეროვნულ მოღვაწედ მიაჩნდა საკუთარი თავი, უცილობლად ხელი უნდა შეეწყობოთ პოლიტიკური პროცესების კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევისთვის, საკუთარი პიროვნული მაგალითი უნდა მიეცათ სხვებისთვის ამ მიმართულებით. მაგრამ მოხდა პირიქით, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავად იქცნენ ქვეყანაში ანტიკონსტიტუციური პროცესების გამღვივებლებად. მათი გზავნილები ქვეყნის შეგნითა და საზღვარგარეთ ანტი-ეროვნული, ანტისაზოგადოებრივი და ანტიდემოკრატიული შინაარსით იყო გაჯერებული. თითქმის მეთოხედი საუკუნის შემდეგ კვლავ მათი გახსენება საჭიროა, რადგან ახალმა თაობამ და ახალმა პოლიტიკოსებმა ძველი შეცდომები და დესტრუქციული ქმედებები არ გაიმეორონ, არ გაიმეორონ ის ლექსიკა, რასაც იმჟამად მიმართავდნენ ეროვნულობაზე თავის დამდეგი პოლიტიკოსები. სამაგალითოდ გამოდგება ირაკლი წერეთლის ორი ინტერვიუც.

კოპრმსკონდენტი: უნდა? მაგრამ, თუ არ გადადგა?

ირაკლი ჭყავიანი: გადადგება. ვერსად წავა. ჩვენ მას მოსვენებას არ მივცემთ. გადავკეცავთ გზებს, რკინიგზას, გამოვრთავთ შუქს. უკომპრომისო ბრძოლა წავა“.

ასეთივე დესტრუქციული და დეზინფორმაციული იყო ეროვნულობაზე თავის დამდეგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტის წევრის **ირაკლი ქადაგიშვილის** საზღვარგარეთული გზავნილებიც. მაგალითი ამგვარი ქმედებისა მოცემულია გაზეთ „საშუალო ფენაში“ (12 თებერვალი, 1993 წელი, № 1) „ედ-ს პრეზიდენტის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის ინფორმაცია, რომელიც შემდგომ ევროპასაც მიაწვდინეს. კერძოდ, ამის მაგალითი გახლავთ „ზიუდლონიც ცაიტუნგში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია „გამსახურდიამ მოაკვლევინა მინისტრი“, რომელიც ასევე გერმანიის სხვა რამდენიმე საინფორმაციო საშუალებამაც აიტაცა. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა გამსახურდიამ ბუნკერში დაახვედრინა თავდაცვის მინისტრის მოადგილე **ნოდარ ბიორბაძე** და დეპუტატი **ჯემალ გოლოთიანი**“. ამ „დახვერტების“ შესახებ გაზეთს თანახლდა ირაკლი ქადაგიშვილის განმარტებანიც“.

გაზეთი „გრუზია-სპექტრი“, 23-29 სექტემბერი, 1991 წელი.

„ამერიკული ჟურნალის „თაიშის“ კორმსკონდენტის შიკითხვა: დღეს საქართველოს ხელისუფლებამ გამოსცა კანონი მიტინგების შესახებ. რას იტყვით ამის გამო?

ირაკლი ჭყავიანი: ჩვენ არ დავემორჩილებით ამ კანონს. ჩვენი მიზანია საყოველთაო დაუმორჩილებლობა საქართველოში დესტაბილიზაციის ესკალაციით. ჩვენ იმდენად

ასეთი „ინფორმაციული“ ომები აზარალებს არა ცალკეულ პოლიტიკოსს – მას, ვინც ავრცელებს, ან ვის წინააღმდეგაც იგი ვრცელდება, ეს დეზინფორმაცია და დესტრუქცია მიმართულია ერის სუვერენიტეტისა და საზოგადოების დემოკრატიული განვითარების წინააღმდეგ. წარსული გაკვეთილებიდან დასკვნების გამოტანა წინსვლის საწინდარია.

დავით არაბიძე

რაგომ გვიპირებს კბილებით ყელის გამოდარჯვას ნიკა გვარამია და ვის გამოუყვანს ნიკვას გივი თარგამაძე?!

ადრეც არ იყო იშვიათი, მაგრამ ბოლო დღეების განმავლობაში საინფორმაციო პორტალები და სოციალური ქსელი აქტიურად ახმოვანებს „ნაციონალისტების“ ლიდერების მუქარებს საზოგადოებისადმი. მაგალითად, ნიკა გვარამიამ, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს ხელმძღვანელობს, საჯაროდ განაცხადა: ჩემი კბილებით გამოვლადრავთ ყელსო, საქართველოში „სახელგანთქმულმა“ და უკრაინის ერთ-ერთმა „მხსნელმა“ გივი თარგამაძემ იმის შემდეგ, რაც ქართველ ხალხს დაგვემუქრა – სულს ამოგხდითო, მიზანი დღემდე არ შეუცვლია, კვლავ სასტიკად ემუქრება საზოგადოებას, ხელისუფლებას მიმართავს და სავარაუდოდ ბიძინა ივანიშვილს ემუქრება: „პირობას გაძ-

უგულბელყოფილი, დამცირებელი, დათრეული ხალხი, ვინაც „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ დამცირება და შეურაცხყოფამიღებულმა მაშინ მთელი განვლილი ცხოვრების შეფასება მოკლე დროში შეურაცხყოფის ფონზე მოახდინა, ხელი ჩაიქნია და თავი უსარგებლოდ ჩათვალა. ახალგაზრდები, რომლებმაც 90-იანი წლებიდან მოყოლებული ძალადობა და სისხლი იხი-

„ნაციონალური“ კვლავ ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას. მისი მხარდამჭერები და ზოგიერთი „ქართულ ოცნებაზე“ გულაყრებული თუ გულგატეხილი ახლა ამბობს – მოვიდნენ ისევ ნაცები, ამით მაინც აჯობებს, მაშინ მკვლელობები მაინც არ ხდებოდა!..

ამას რომ იტყვიო, ვერ „ნაციონალისტების“ წარმომადგენლების აგრესიულ ტონს დააკვირდით. ეს ხალხი ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას რომ გაანადგურებს, როგორც იქნა, როგორც ფიქრობთ, ხალხს, საზოგადოებას, ქვეყანას თავზე ხელს გადაუსვამენ და საღამოობით იავნანას უმღერებენ?! დიახ, საზოგადოებაში კრიზისი არსებობს და ეს უნდა გადავლახოთ ჩვენ...

ახლა მე 2003 წლიდან 2009 წლამდე ნაციონალური რეჟიმის დროს დახცილ ადამიანთა სიას წარმოვიდგენთ.

2003 წლიდან 2009 წლამდე:

დავით საყვარელიძე - გარდაიცვალა თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ჯავშანტრანსპორტიორთა შეჯახების შედეგად;
მთერ ჯულიაშვილი - გარდაიცვალა თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ჯავშანტრანსპორტიორთა შეჯახების შედეგად;

გიორგი ინასარიძე - თბილისში, შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლაციაში ჩამოხრჩვალა იპოვეს.
ოთარ გველუკაშვილი - მოკლეს გურჯაანის რაიონში, სოფ. კარდენაში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
ანტონ კუპულავა - მოკლეს თბილისში დაკავებისას;
დიპო ბარქაძე - მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
ზაზა ფანცქელაძე - მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას;

მამუკა აფრასიძე - მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
ოპოზ აფრასიძე - მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
სვირცა კვიციანი - მოკლეს თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ში, დაკავების შემდეგ პოლიციელების მიერ სახლში მიყვანიდან ნახევარ საათში გარდაიცვალა;
ალექსანდრე გომეზი - მოკლეს კახეთში დაკავებისას;
ამირან (ბუბა) რობაქიძე - მოკლა თბილისში პატრულ-ინსპექტორმა წერეთლის გამზირზე;
მურთაზ ქარდავა - ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა;
თემურ ხუბუნია - ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა;
სულხან ლომიძე - მოკლეს ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციის დროს.
ზურაბ ვაზაგაშვილი - პოლიციამ ჩაცხრილა კორტბთან მანქანაში.
აკაკი კორკოტაშვილი - მოკლეს გურჯაანის რაიონში სპეცოპერაციისას;
ამირ გუგუშვილი - მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას;

პასტანა მარგოშვილი - ოფიციალური ვერსიით, მოკლეს ქვემო ქართლში, სოფ. ვახტანგისთან საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისას;
რამაზ ცაღანი - მესტიის რაიონში სპეცრაზმელების მიერ სასტიკად ცემის შემდეგ ლოგინს მიეჯავჭვა;
პარლამ ნემსიფერიძე - მოკლეს თბილისში მძევლის გათავისუფლებისას;
მესტორ მსხვილაძე - მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;
ბიკო ოპოპაძე - მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;

თემურ ცეკვაძე - მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;
თამაზ კურკუმიანი - მოკლეს თბილისში, მუხიანის დასახლებაში სპეცოპერაციისას;
ალექსანდრე თაბაგარი - მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათში;
სვირცა მელაძე - მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათში;
გიორგი კვიციანი - მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე;
გიორგი მანჯაშვილი - მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე;
ლევან გულუა - მოკლეს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას;
რამიზი სარჯველაძე - მოკლეს თბილისში დაკავებისას;
ვლადიმერ ხოშტარია - მოკლეს თბილისში დაკავებისას;
მურად გორგაძე - მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;
რომან სურმაანიძე - მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;
მარად ართმელაძე - მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;
სანდრო გირგვლიანი - გარდაიცვალა თბილისში, ოქროყანაში, შსს-ს თანამდებობის პირთა ჯგუფის მიერ მიყენებული მრავლობითი ჭრილობების შედეგად;
ბიკო (გიორგი) თელია - მოკლეს თბილისში სპეცოპერაციისას;
ჯემალ ჩაფიძე - მოკლეს თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში, პოლიციის მიერ დაკავებისას;
ზვიად ბაბუნაძე - მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
ბუთხუხუ კიჭირია - მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
ვალერი ბენდელიანი - მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
ზურაბ ვაზაგაშვილი - მოკლეს თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, სპეცოპერაციისას;
ალექსანდრე (საშა) ხუბულაძე - მოკლეს თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, სპეცოპერაციისას;
მიხეილ (მივიპო) ბერძენიშვილი - მოკლეს საგარეჯოში დაკავებისას;
გელა ცინდელიანი - მოკლეს მესტიის რაიონის სოფ. ჭუბერში სპეცოპერაციისას;



ლევთ, არ ებაქიბუქობ და ნამდვილად გამოვიყვანო წირვას, უნიათო და არარაობავ, რუსო ოლიგარქო... და ა.შ.

საქმე ის არის, რომ ქართულ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, სიძულვილის ენა დამკვიდრდა და „ნაციონალისტების“ მკაცრად ჩვენთან ვინც კარგად ილანძლება, მეტ ბილწ სიტყვას ამბობს ოპონენტის თუ მოწინააღმდეგის მიმართ, ვინც ვერ და შეგნებულად არ ფარავს აგრესიას, ის ითვლება ყოჩად და ძლიერ ადამიანად.

ეს რატომ ხდება, ფსიქოლოგების და ფსიქიატრების კვლევის საგანია; თუკი დარჩა 9-წლიანი წმენდისგან საქართველოში ვინმე კვალიფიცირებული სპეციალისტი ამ სფეროში, ის დასვამს დიაგნოზს, მაგრამ, ჩემი ვარაუდით, აგრესია და ბილწ-სიტყვაობა, მუდმივი მზადყოფნა ლანძვლა-გინება-მუქარისთვის, მყარი და ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობის შედეგი არ უნდა იყოს.

საქართველოში ყოველივე ამან ტოტალური ხასიათი მიიღო. ეკლესიასტეში წერია, ზუსტი ციტირება არ მახსოვს, ამიტომ ბრჭყალების გარეშე დავწერ: რაკი ერთმანეთს ჭამთ, ნახეთ, თუ ერთმანეთი არ მოსპობთ. ქართველებმა ერთმანეთის მოსპობა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყეთ და იმ საშინელმა ორმა წელმა ამ მდგომარეობამდე მივიყვანა.

ქართული საზოგადოება დღეს, ეს არის „ჩარეცხილი“ ძველი ინტელიგენცია, პატივყარილი, 9 წლის განმავლობაში


ლა, ან მონაწილეობდა მასში და ამ სისხლის, უბედურებისა და ნგრევის მნახველი „აშენებს“ ახლა ამ ქვეყანას.

და უფრო ახალგაზრდები, ყმაწვილი თაობა, რომელიც ისეთ ქაოსში, გაურკვევლობაში და უშიშრო, უიდეალო გარემოში გაიზარდა, რომ მათი უმრავლესობისთვის მოსაფრთხილებელ-მოსაფერებელი, სხვას რომ თავი დაგანებოთ, საკუთარი მშობლებიც აღარ არიან.

საზოგადოების ეს სამივე ნაწილი აგრესიით არის სავსე, ასაკოვნები თავიანთი განვლილი ცხოვრების უშედეგობით, ახალგაზრდები შიშით – რომ არ დაიჩაგრონ, ყმაწვილები კი ამ ორის ზიზღით, რადგან მათ ელემენტარულად, სიყვარული არ ასწავლეს...

ესაა ფაქტი და კიდევ ის არის ფაქტი, რაც გაიარა ქვეყანამ „ნაციონალისტის“ ხელში – ციხეებში ნაწამები ხალხის ნაწილი დაიხოცა, ნაწილი კვლავ საპატიმროებში არიან გამოძველებულნი უკვე ნადირის ფსიქიკით, ხოლო ვინც გარეთ გამოსვლა შეძლო – აწამებს, ამცირებს, კლავს...

თავისთავად ცხადია, დემოკრატია და თავისუფლება რევანშზე არ ივება. ადამიანები, რომლებიც კბილებით ვინმეს ყელის გამოლადრავთ იმუქრებთან, კანონის, ანუ დაპატიმრების რომ არ ეშინოდეთ, ამას სიამოვნებით გააკეთებენ. მეტი ასევე სიამოვნებით დამარხავენ ან ძაღლების საჭმელად დააგდებენ „მტერს“... კოკასა შიგან რაცა დგასო, ხომ ვაგვივინათ?!



მამუკა აფრასიძე - მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
ოპოზ აფრასიძე - მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
სვირცა კვიციანი - მოკლეს თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ში, დაკავების შემდეგ პოლიციელების მიერ სახლში მიყვანიდან ნახევარ საათში გარდაიცვალა;
ალექსანდრე გომეზი - მოკლეს კახეთში დაკავებისას;
ამირან (ბუბა) რობაქიძე - მოკლა თბილისში პატრულ-ინსპექტორმა წერეთლის გამზირზე;
მურთაზ ქარდავა - ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა;
თემურ ხუბუნია - ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა;
სულხან ლომიძე - მოკლეს ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციის დროს.
ზურაბ ვაზაგაშვილი - პოლიციამ ჩაცხრილა კორტბთან მანქანაში.
აკაკი კორკოტაშვილი - მოკლეს გურჯაანის რაიონში სპეცოპერაციისას;
ამირ გუგუშვილი - მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას;

თემურ ცეკვაძე - მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;
თამაზ კურკუმიანი - მოკლეს თბილისში, მუხიანის დასახლებაში სპეცოპერაციისას;
ალექსანდრე თაბაგარი - მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათში;
სვირცა მელაძე - მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათში;
გიორგი კვიციანი - მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე;
გიორგი მანჯაშვილი - მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე;
ლევან გულუა - მოკლეს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას;
რამიზი სარჯველაძე - მოკლეს თბილისში დაკავებისას;
ვლადიმერ ხოშტარია - მოკლეს თბილისში დაკავებისას;
მურად გორგაძე - მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;
რომან სურმაანიძე - მოკლეს თბილისში დაკავებისას;
ვლადიმერ ხოშტარია - მოკლეს თბილისში დაკავებისას;
მურად გორგაძე - მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;
მარად ართმელაძე - მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;
სანდრო გირგვლიანი - გარდაიცვალა თბილისში, ოქროყანაში, შსს-ს თანამდებობის პირთა ჯგუფის მიერ მიყენებული მრავლობითი ჭრილობების შედეგად;
ბიკო (გიორგი) თელია - მოკლეს თბილისში სპეცოპერაციისას;
ჯემალ ჩაფიძე - მოკლეს თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში, პოლიციის მიერ დაკავებისას;
ზვიად ბაბუნაძე - მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
ბუთხუხუ კიჭირია - მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
ვალერი ბენდელიანი - მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
ზურაბ ვაზაგაშვილი - მოკლეს თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, სპეცოპერაციისას;
ალექსანდრე (საშა) ხუბულაძე - მოკლეს თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, სპეცოპერაციისას;
მიხეილ (მივიპო) ბერძენიშვილი - მოკლეს საგარეჯოში დაკავებისას;
გელა ცინდელიანი - მოკლეს მესტიის რაიონის სოფ. ჭუბერში სპეცოპერაციისას;





ჰაბა ჰაბანიშვილი - დაჭრეს ბორჯომში 21 ივლისს ჩატარებული სპეცოპერაციისას, რის შედეგადაც გარდაიცვალა;

ხვიჩა კოპია - მოკლეს ზობის რაიონში სპეცოპერაციისას;

ვალერი (ვარლამ) ფხაბაძე - გარდაიცვალა ქუთაისში დაკავებისას მიყენებული ჭრილობის შედეგად, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში პოლიციელებმა არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება.

მიხეილ პირაკოსიანი - მოტოციკლის გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემდეგ მოკლა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ახალციხის რაიონში;

გიბა ჭარბაძე - თელავში დაეჯანა ავტომანქანა, რომელსაც პატრულ-ინსპექტორი მართავდა;

ალექსანდრე სოსიტაშვილი - გარდაიცვალა თბილისში, სოფელი დიღომში, პოლიციელთა მიერ ცემის შემდეგ;

ოლეგ მისხიძე - მოკლეს ოზურგეთში სპეცოპერაციისას;

ჯუმაბერ ნაბერძანი - ოფიციალური ვერსიით, თავი ჩამოიხრჩო ბათუმის იზოლატორში.

თენგიზ გომი - მოკლეს სენაკის რაიონის სოფ. მენჯში, სპეცოპერაციისას (ოფიციალური ვერსიით, თითქოს თავი აიფეთქა);

როლანდ მახარაძე - მოკლეს ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მძევლების გათავისუფლებისას;

გიორგი ბამცემელიძე - თბილისში, მეტრო „რუსთაველთან“ დაკავებისას მოკლა პატრულ-ინსპექტორმა;



როინ შაჰაძე - ოფიციალური ვერსიით, მოკლეს გაქცევის მცდელობისას ქობულეთში, ქაქუთის საავტომობილო გზაზე, სასტიკად ნაწამებია;

ნატა ჰიჭონია - ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში დაეჯანა ავტომანქანა, რომელსაც ნასვამი პოლიციელი მართავდა;

ალექსანდრე კვიციანი - ოფიციალური ვერსიით, გურჯაანის რაიონის სოფ. ზიარში შელაპარაკების ნიადაგზე მოკლა შს კახეთის სამხარეო მთავარი სამართველოს მენ განყოფილების ყოფილმა უფროსმა;

ზურაბ მანთაძე - მოკლეს თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, დაკავების შემდეგ; ოფიციალური ვერსიით, დაიღუპა საპატრულო მანქანის ავარიის შედეგად;

გიან პრილაშვილი - მოკლეს თბილისში, გლდანში (თიანეთის გზატკეცილი) სპეცოპერაციისას;

გიგი მებრემიძე - მოკლეს ზუგდიდში დაკავებისას;

მამუკა ჩარჩხალია - გარდაიცვალა თბილისში, ნუკუბიძის პლატოს I მკრ-ის ასახვევთან თავის არეში მიყენებული ჭრილობით.

2009 წლის შემდეგ დაუმტეთ ციხეებში წამებით გამოშვებული ადამიანების რიცხვი, გაუჩინარებული, უგზოუკვლოდ დაკარგული ადამიანები, მათ შორის, როგორც მთხრეს, სამეგრელოში 360 ადამიანი დაღუპულ უკვალოდ გამქრალი, ვურდუმულები, მიწისქვეშა საწამებლები გაიხსენეთ, 2008 წლის ომში დახოცილები დაუმარხავი რომ ლეპობდნენ და ნაკებმა მთელი ქვეყანა რომ აძღვრეს და აზვიმეს, სასაცილო პაროდისტული ხელიხელჩაკიდებული მარაზმი რომ მოაწვევს, ესეც არ დავაიწყებთ და „ნაციონალების“ ეშმაკისეულ ლემავიგვას მერე მოუსმინეთ...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ლაშა მახარაძის გავლენის გაუმართლებელი დეზალაბი!



ლაშა მახარაძე

ერთი მნიშვნელოვანი მკვლევარობა, რომელზეც „ნაციონალებმა“ საშინელი აურზაური ატეხეს და შეაფასეს, როგორც პოლიტიკური მკვლევარობა, რომელიც ერთობ უცნაურად გამოიყურება არის ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი ლაშა მახარაძის მკვლელობა. „საერთო გაზეთი“ დაინტერესდა ამ საკითხით და დაიწყო ამ თემის შესწავლა. გაწვდით ექსკლუზიურ ინფორმაციას...

როგორც გაირკვა, ჩვენი კონფიდენციალური წყაროს თქმით, (ჩვენ არაფერს ვაბტკიცებთ) სრულიად ჩვეულებრივი შელაპარაკება მომხდარა მახარაძის მკვლელ ოქროპირიძესა, ქუჩური მეტსახელი „ოქრიკას“ და მახარაძის მეგობარ თენგიზ ერისთავს, ქუჩური მეტსახელი „ეროსი“, შორის, რომლის დროსაც ეროსის გაუმარჯვია ანუ ქუჩურად, რომ ვთქვათ, „ოქრიკა“ დარჩენილა „მინუსებში“.

(თავად „ოქრიკა“ მისი მეგობრის ლევან თალაკვაძის მკვლელობისთვის სასჯელს ერთხელ უკვე იხდიდა, თუმცა ის ვადაზე ადრე, შეწყალებით იქნა გათავისუფლებული). შესაბამისად, როგორც ციხიდან ახალი გამოსული ადამიანი, არც ისე ადეკვატურად იქცეოდა და აზროვნებდა. (ჩვენი ციხეები ბოლო ათ წელზე მეტია, რაც სინანულის ადგილიდან გადაქცეულია დამნაშავე პატიმრებისათვის ჩადენი დანაშაულის სანაცვლოდ ტკივილის მიყენების დაწესებულებებად, შესაბამისად, იქიდან გამოდიან ან ბოლომდე განადგურებული და გათელილი ადამიანები, ან ლამის გიყები, რომლებსაც ქუჩაში „ბესპრიძელს“ ემახიან) ცოტა ხანში ამ შელაპარაკებიდან „ოქრიკა“ ისევ

გამოჩნდა უბანში (როგორც ამბობენ, ცეცხლსასროლი იარაღის მოსატანად იყო წასული) და დაიწყო ერისთავის ძებნა. სხვათა შორის, ერისთავიც, მახარაძეც და ოქროპირიძეც როგორც წესი, ერთად ატარებდნენ მთელ დღეებს, უბნელები იყვნენ და მეგობრებიც. ოქრიკა ეროსის ფეხით კი არ დაეძებდა, არამედ საერთო მეგობარი ბერძენიშვილი, ქუჩური მეტსახელი „ბერძენა“ შეხვედრია გზაში და მისი ავტომანქანით მოძრაობდა. (ბერძენიშვილი ფასანაურში დააკავეს და ახლა ცდილობენ რაიმე ბრალი მოუძებნონ, მან აღიარა, რომ გასროლა მისი მანქანიდან მოხდა, ამბობენ, რომ ვერ დასტურდება მისი თანამონაწილეობა, ამდენად ის საპროცესო შეთანხმებით შეიძლება რომ გამოვიდეს). „ოქრიკას“ მანქანიდან დაუნახავს მახარაძე, დაუძახია და უკითხავს სად არის ერისთავი და კაი მამაპაპური გინებაც მიუყოლებია ერისთავის მისამართით. მახარა-

დაკითხვაზე, ოღონდ იქ რა მოხდა, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ გვაქვს. რაც თავად ფაქტს შეეხება, ანუ მკვლელობას, ძალიან ვეცადეთ პოლიტიკის მაგვარი რაიმეს აღმოჩენას, მაგრამ ასეთი არაფერი მოიძებნა. სრულიად ჩვეულებრივი ქუჩური თავგადასავალია (არ გვინდა სიტყვა გარჩევა ვახსენოთ, იმიტომ, რომ სიტყვა გარჩევას სულ სხვა მნიშვნელობით ხმარობენ მცოდნე ადამიანები). მას შემდეგ, რაც მიშას „რეფორმების“ შედეგად ლამის მთელი საქართველო უმუშევარია, ახალგაზრდები დარჩნენ ქუჩაში და ცხოვრობენ უმუშევარი კაცის ცხოვრებით. შესაბამისად, კრიმინალური ფონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიზეზი გახლავთ ის, რომ „ბირჟაზე“ ათჯერ მეტი ხალხი იკრიბება, ვიდრე ეს იყო ოციოდე წლის წინათ. ეს საკითხი უდავოა. რაც შეეხება დამნაშავეს, მას ალბათ, პოლიცია მოუვლის, თუმცა დაუზუსტებელი ინფორმაციით, ის აპირებს საზღვრის გადალახვას, თუ უკვე გადალახა კიდეც.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მზადდება კანონპროექტი ცეცხლსასროლი იარაღის შექმნა, შენახვა, ტარების შესახებ. საინტერესოა, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ ამ კანონის ავტორები...

იარაღს, როცა ის თავისუფალ გაყიდვაშია ბევრი ყოდულობს, გაცილებით მეტი, ვიდრე გამოძენებელია. ეს იარაღი დევს წლობით სახლში და საბედისწერო როლს თამაშობს ხოლმე ოჯახური კონფლიქტების დროს. ასე რომ, რომელ კონცეფციას აირჩევენ ჩვენი კანონმდებლები ჩვენ ეს დეტალურად არ ვიცით, თუმცა ცოტა ხანს თუ იარაღის გაყიდვა შეიზღუდება, ამით ბევრი ალბათ, არც არაფერი დაშავდება. ასე რომ, „ნაციონალებს“ ამ ერთში მაინც გაუმართლებთ, რომ მათ ექნებათ იარაღი (ალბათ ყველას ახსოვს პირველი ოქტომბრის შემდეგ როგორ დაურიგეს იარაღი და ტარების უფლება თავიანთ მოლიდერო ელემენტებს, ზონდერებსა და კოორდინატორების ნაწილსაც კი). როგორც ამბობენ, პიესის დასაწყისში თუ კედელზე დამბაჩა ჰკიდია პიესის ბოლოს ეს დამბაჩა უნდა გავარდეს.

ქეთი სომერიძე
592 53 53 03



„ოქრიკა“

მარადიული ეჭვიანილი

(წერილი მეორე)

მანტანბ სარჩილაკა

ზოგჯერ მგონია, რომ ქართველთა ერთი ნაწილის გონებას ამ გონების შიგნით შეპარული მტერი მართავს და მართავს ისე მარიაფათიანად და შნოიანად, ქართველს ჰგონია, თავისი ჭკუით ცხოვრობს, თავის ნებაზე იღებს გადაწყვეტილებებს, მისთვისა და მისი სახელმწიფოს სასარგებლოდ, იმას კი ვერ ხვდება, რომ მტრის ფარულ მიზნებსა და ამოცანებს ემსახურება და მის წისქვილზე ასხამს წყალს.

ამ მზაკვარმა მტერმა დიდი ხანია დაარწმუნა ქართველთა ერთი ნაწილი, რომ, თუ მეგრულსა და სვანურს გააძევენ და ამოძირკვან ქართული ცნობიერებიდან, მეგრულსა და სვანს ბოლომდე თუ „გააქართველებს“ და მეგრულსა და სვანურს დააიწვევებს, ამით საქართველოს ძლიერებას და ერთიანობას განამტკიცებს.

ზოგიერთებისთვის აი, ასე პრიმიტიულად მოაზროვნე ქართველი ითვლება დღეს დიდ პატრიოტად, ხოლო ის, ვინც ამტკიცებს, რომ საქართველო მრავალფეროვნებათა ერთიანობაა, მრავალ სიმთა საერთო პოლიფონიაა, სეპარატისტად ინათლება!

ხანდახან ვფიქრობ, ამ ფსევდოპატრიოტებმა თუ იმარჯვეს და თავისი გაიტანეს, როგორი მოსაწყენი, ერთფეროვანი და უინტერესო იქნება ის საქართველო, რომელსაც ესენი ააშენებენ – საქართველო მეგრელების, კახელების, იმერლების, სვანების, რაჭველების, ფშავ-ხევსურების და სხვა კუთხის შვილთა გარეშე, ერთ ტონალობაში ამტყვევებული, ერთ თარგზე მოჭრილი.

ასეთი საქართველო აქ დაბადებული იმ არაქართული ეროვნების კაცს აძლევს ხელს, რომელსაც საქართველო თავისთვის აქვს შეგულებული, მაგრამ მის დაპატრონებაში ის ქართველები უშლიან ხელს, რომლებსაც ქართულ ნიადგაში აქვთ ჩაყრილი საუკუნოვანი ფესვები თავისი კახელობით და მეგრელობით, სვანობით, რაჭველობით, გურულობით თუ აჭარლობით.

უფესვო „უზისხირე“ ქართველი სჭირდება საქართვე-

ლოს წაპოტინებულ იმ არაქართველს, რადგან უფესვოს ადვილად გადმოხრის თავისი კენ.

ასეთი საქართველო დიდხანს ვერ გაძლებს, დიდხანს ვერ იცოცხლებს ისე, როგორც ვერ იცოცხლებს მდინარე წყაროების და შენაკალების გარეშე.

სწორედ ეს უნდა იმ ჭკვიან მტერს, ჩვენს გონებაში რომ შემოპარულა და იქიდან რომ გემართავს და გვატარებს თავის ჭკუაზე.

„აფხაზეთში აფხაზებსა და ქართულ მოსახლეობას შორის საკონტაქტო ენა კირიტიანად მებრული იყო, როგორც უმრავლესობის ენა. თითქმის ყველა აფხაზმა შესანიშნავად იცოდა მებრული ენა, არ იცოდა ქართული, მაგრამ იცოდა მებრული!“

აი, ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქართულმა სახელმწიფომ ვერაფერში გამოიყენა, რადგან თვით ამ ქართულმა სახელმწიფომ „არ იცოდა“ მეგრული ენა, არ იცოდა და არ ესმოდა მისი მნიშვნელობა, მისი მისია.

ქართული სახელმწიფო ვერ მიხვდა, რომ სწორედ მეგრული ენა იყო ის გამაერთიანებელი საძირკველი, ის ნერჩი, რომელზეც იდგა აფხაზური და მეგრული სამყარო, ხოლო ამ სამყაროს ცენტრი სამეგრელო გახლდათ, სამეგრელო – თავისთავად ქართული და იმავდროულად – აფხაზურიც, ერთიანად და მე-

ორესთანაც სისხლით, ხორციით, ნათესაობით, მორღობით, ძუძუმტობით დაკავშირებული.

აი, ეს იცოდა იმ მერხულელმა ლავრენტი ბერიამ და ამიტომაც იყო წინააღმდეგი სამეგრელოში ოდითგანვე ჭარბად არსებული ეროვნული



ენერგიის ავტონომიის ფარგლებში ჩაკეტვისა!

ამ ენერგიას აუცილებლად უნდა ედინა ქართულ სივრცეში სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ განსაკუთრებული სიმძლავრით უნდა ედინა აფხაზურ კალაპოტში – ეს ენერგია იყო აფხაზეთში საქართველოს დესპანი, მისი ფორპოსტი და ციხესიმაგრე!

მაგრამ თვით ისეთი გონებააღესილი და შორსმჭვრეტელი კაციც კი, როგორც იყო ბერია, ვერასოდეს წარმოიდგენდა იმას, რაც აფხაზეთში მოხდა მოგვიანებით, მისი სიკვდილიდან სულ რამდენიმე წელიწადში.

ყველაფერი ქართველთომოტულე ხრუშჩოვიდან დაიწყო, რომელმაც სტალინისა და ბერიას ჯავრი ქართველ ხალხ-

ზე და საქართველოზე იყარა.

ხრუშჩოვიდან მოყოლებული, ელცინით დამთავრებული, აფხაზეთში ქართველთა შევიწროება, დამცირება, იგნორირება არ შეწყვეტილა. საბჭოთა საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა კი, იმის ნაცვლად, რომ ქართველებს გამოსარჩლებოდა, მოსკოვის მითითებებსა და დავალებებს პირნათლად ასრულებდა და ზედსაკუთარი ინიციატივით ახალ-ახალ ლონისძიებებს უმატებდა მათზე მოსული სეპარატისტების გულის მოსაგებად.

– მეგრელები არიან ორგულები, თორემ თქვენ რა კარგები და საყვარლები ყოფილხართ! – ეფუჩუნებოდნენ

კით განხორციელდა ქართული სახელმწიფოს ღირსებას გამოსარჩლებულ სამეგრელოში.

აფხაზეთმა გულიას და ლაკობას გვერდით შევარდნაძეს უნდა დაუდგან ძეგლი – ის არის მათი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მიზეზთა მიზეზი და მთავარი შემოქმედი.

ბერია, როგორც ვთქვით, ბევრი რამ ზუსტად გათვალა, მაგრამ ვერ გათვალა ერთი რამ, – შევარდნაძის მოვლინება პოლიტიკაში და ამ კაცის თვალთმაქცური ბუნების მასშტაბები.

საქართველო ერთი კაცის, შევარდნაძის კარიერას შეეწირა...“

„– მეგრულ სკოლებს გაგინსნით, მაღალ ხელფასებს დაგინიშნავთ, ისწავლეთ და



თბილისიდან წარგზავნილი პარტიული ბოსები აფხაზეტს და მათთან საიდუმლო ძმობით და ფიც-ვერცხლობით შეკრულნი ერთად ურტყამდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ „ორგულ“ მეგრელებს.

ამ ტენდენციამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები შევარდნაძის პირველკაცობის დროს მიიღო, რომელიც, ბერიასგან განსხვავებით, სახელმწიფოს კი არა, ხალხთა მეგობრობის მუხუეუმს აშენებდა საქართველოს ტერიტორიაზე და რომელსაც, როგორც ამბობენ, დიდად არ უყვარდა მეგრელები.

– არ უყვარდა კი არა, მთელი არსებით სძულდაო, – ამტკიცებენ ზოგიერთები და ამის დასტურად იმ სადამსჯელო ოპერაციებს ასახელებენ, რომლებიც წარმოუდგენელი სისასტი-

განათლდითო! – შემოგვაპარეს აფხაზმა ძმებმა.

– არა, ჩვენ მშობლიურ ენაზე გვინდა სწავლაო, – იუარა ტელეკამერის წინ ერთმა მეგრელმა, იუარა არცთუ ისე ხეირიანი ქართულით, რბილი ლ-თი და მეგრული ინტონაციით.

განა ამ მეგრელმა არ იცის, რომ მეგრული ენაც მისი მშობლიური ენაა, მაგრამ მას მაინცდამაინც ქართულ ენაზე სურს განათლება მიღებინოს თავის შვილებს, რადგან მან იცის, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენაა, ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა და ამ ენაზე უარის თქმა ქართული სახელმწიფოს უარყოფას, ამ სახელმწიფოს სივრციდან გასვლას ნიშნავს.

დაიხ, ამ მეგრელმა გლეხკაცმა ხეირიანად არ იცის ქართული, სამაგიეროდ, მან იცის, რას ნიშნავს საქართვე-



**ბაბრქილება. დასაწყისი
იხ. წინა ნომერი**

ლო, რაც არ იცის ზოგმა ქართველმა აკადემიკოსმა, მეცნიერმა, მწერალმა, ჟურნალისტმა!!!

ამ მეგრელმა, საუკუნეების წინათ, ნებაყოფლობით, შესწირა მსხვერპლად თავისი უმძვენიერესი, უმდიდრესი მეგრული ენა საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეას, რომ ამ სახელმწიფოში ქართულთან ერთად მეგრულიც გადაერჩინა, როგორც ქართულის ძირი და ფესვი, მისი განუყოფელი ნაწილი, გადაერჩინა თავისი თავი, თავისი თვითმყოფადობა და განუყოფლობა.

მაგრამ – არაო! – უთხრეს ამ გულუბრყვილო მეგრელს და მეგრულად ნათქვამი სიტყვა ქართულად არ ჩაუთვალეს, ენა დაუწუნეს, საკუთარ სახელში უცხოად აგრძნობინეს თავი, ერთმანეთში მეგრულად საუბარი ლამის სეპარატიზმად მოუნათლეს, დააკომპლექსეს, დათრგუნეს.

ქართველისა და ქართული სახელმწიფოს არსის არასწორმა გაგებამ, საქართველოს ერთიანობის ყალბად გაგებულმა კონცეფციამ შვა გაუცხოებისა და უნდობლობის ატმოსფერო, რომელიც ხან რას მოგვალანდებს და ხან – რას...“

ეს ფრაგმენტები ჩემი ადრინდელი წერილიდანაა, რომელსაც „მარადიული ეჭვიმტანილი“ ჰქვია.

როგორც რომანული ხალხების ეთნიკური ისტორია იწყება რომის იმპერიის დაშლის შედეგად, ახალგაზრდა რუსული ეთნოსები ისტორიულ არენაზე კიევის რუსის (Еѣаѣнеѣ Ѧ Dóni) და არა რუსეთის) დაშლის შემდეგ გამოჩნდნენ. უკრაინელი მეცნიერების აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ რუსი ისტორიკოსი ვ. კლიუჩევსკი წერდა, რომ „ისტორიის არენაზე „ველიკოროსი მხოლოდ თავად ანდრეისთან ერთად გამოჩნდა“. გულისხმობდა ანდრეი ბოლოლუბსკის, რომელიც სუზდალს XII საუკუნის მეორე ნახევარში მართავდა. ეს ის პერიოდაა, როცა ახალგაზრდა სუბეთნოსები – ბელორუსები, ფსკოვ-ნოვგოროდელები და რუსები წინარე იმპერიული კიევისგან გამოცალკეებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან. მათ ანტიკიევიური სამხედრო კოალიცია შეკრეს და 1169, 1203 წლებში შტურმით აიღეს და დაანგრიეს იმპერიის დედაქალაქი. კიევის რუსი (Еѣаѣнеѣ Ѧ Dóni), როგორც სახელმწიფო, ფაქტობრივად, თათრების მოსვენებულ დაიშალა.

უკრაინულმა ეთნოსმა დაკარგა თავისივე შექმნილი იმპერია, მაგრამ არსებობას ეთნიკურ ტერიტორიაზე



არასახელმწიფოებრივ პირობებშიც განაგრძობდა. საკუთარი სახელმწიფოს ხელახლა შექმნა XVII საუკუნეში ბოგდან ხმელნიცკის წინამძღოლობით სცადეს. სახელმწიფოებრივი მშენებლობის მესამე და მეოთხე მცდელობა 1917-1920 და თანამედროვე პერიოდებს უკავშირდება.

უკრაინელ მეცნიერთა მტკიცებით, უკრაინელთა ეთნიკურ მიწებზე ისტორიული განვითარების სათავე ადრეული შუა საუკუნეებია. გამოდის, რომ უკრაინული სახელმწიფოებრიობის ისტორია უკვე 1500 წელს ითვლის. უკრაინელები, ისევე როგორც ფრანგები, ინგლისელები, ჩეხები, პოლონელები რომისმემდგომ პერიოდში გაჩნდნენ. მათ თავიანთი სახელმწიფოები IX-X საუკუნეებში შექმნეს. სახელმწიფო კიევის რუსი (Еѣаѣнеѣ Ѧ Dóni) სწორედ იმ პერიოდში შეიქმნა. მისი, როგორც უკრაინელთა სახელმწიფოს არსებობის აუღიარებლობა ეწინააღმდეგება შუა საუკუნეების ევროპის ეთნიკური განვითარების კანონებს, ამბობენ უკრაინელი მეცნიერები და დასძენენ: მის მსგავს სახელმწიფოებს, რომლებიც მამინ ფრანგების, გერმანელების, ინგლისელების და სხვა-თამიწებზე გაჩნდა, მსოფლიო მეცნიერება შესაბამისი ეთნოსების პირველ სახელმწიფოდ აღიარებს.

მკითხველს, სავარაუდოდ, დაუჯერებლად მოეჩვენება მათი შემდეგი დასკვნაც:

ბელორუსების, ფსკოვ-ნოვგოროდელებისა და რუსების ეთნოგენეზი ეთნოწარმოქმნის უნივერსალურ კანონებს შეესაბამება. ლათინებმა თავიანთი იმპერიის პერიოდის კოლონიზაციის პროცესში წარმოშვეს რომანული ეთნოსები, ესპანელებმა – სამხრეთ ამერიკის ესპანურენოვანი ეთნოსები, ინგლისელებმა – ჩრდილოეთ ამერიკისა და ავსტრალიის ინგლისურენოვანი ეთნოსები... მათ მსგავსად, რუსის (Dóni) მკვიდრმა ძველუკრაინელებმა ადოსავლეთ ევროპის ტყიანი ჩრდილოეთის კოლონიზაციის პროცესში წარმოშვეს ახალგაზრდა რუსული ეთნოსები. ანუ: ბელორუსები და რუსები ძმები კი არ არიან, არამედ უკრაინელთა შვილები (!), ისევე როგორც ლათინთა შვილები არიან

ფრანგები, ესპანელები, რომინელები; ინგლისელებისა – ამერიკელები, კანადელები, ავსტრელები; ესპანელებისა – მექსიკელები, ჩილელები, არგენტინელები, ბოლივიელები და ა.შ. ამიტომაც რუსეთის ისტორიის კიევის სამთავროდან დაწყება ისეთივე უაზრობაა, როგორიც აშშ-ს ისტორიის დაწყება ინგლისის სახელმწიფოს დაარსებიდან... ეს იმას ჰგავს, შვილის ბიოგრაფია დედის დაბადებიდან იწყებოდესო, ენაკვიმატობენ ისინი..

მეცნიერთა აზრით, ადრეულ შუა საუკუნეებში ევროპული ეთნოსების უწყვეტი განვითარების პრინციპს არ ეწინააღმდეგება ეთნონიმების პერიოდული ცვლილება. შუა საუკუნეების ეპოქაში პოლონელებს იხსენიებდნენ ლიანებად, რომინე-



ლებს – ვოლოხებად, რუსებს – მოსკოვიტებად. გამოხატვისი არც უკრაინელები არიან. ეთნიკური ისტორიის განვითარების ადრეულ ეტაპზე წინარეუკრაინულ ტომს ან ტომობრივ გაერთიანებას სხვადასხვა სახელი ჰქონდათ: დულეები, სკლავინები, ანტები, თეთრი ხორვატები, ულიჩები... ერთიან კიევის სახელმწიფოში კონსოლიდაციის შემდეგ წინარეუკრაინელებს ეძახდნენ რუსებს, რუსას, რუსინებს. გვიანი შუა საუკუნეებიდან ეს ტერმინები ნელ-ნელა გამოაძევა ახალმა ტერმინმა – „უკრაინელი“.

როგორც აღნიშნული, მკვლევრები მსგავს მოსაზრებებს საფუძველს უქმნიდნენ 150 წლის განმავლობაში. XX საუკუნის დასაწყისში ისინი ამკვიდრებდნენ თეზისს, რომლის თანახმადაც უკრაინელებს პრიორიტეტული უფლება გააჩნიათ კიევის სახელმწიფოს კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობაზე. უკრაინელ მეცნიერთა აზრით, უკრაინელთა ეთნოგენეზისის ადრეული შუა საუკუნეების ვერსიის დამაჯერებელ არგუმენტაციას ვერაფერი დაუპირისპირებს „ველიკორუსიანობა“ ისტორიკოსებმა, საბჭოთა იდეოლოგებმა და უკრაინულ ნაციონალიზმთან მებრძოლმა „ჩეკას“, „ეკაველებს“ თუ „კავკელებს“ წარმომადგენლებმა. ამ თეზისის საწინააღმდეგოდ უსუსურია თანამედროვე რუს მეცნიერთა არგუმენტაცია, აცხადებენ ისინი.

„უკრაინელებისა“ და „უკრაინული სახელმწიფოს“ წარმოშობის რუსული ვერსიები

როდის გაჩნდა ცნებები „უკრაინა“ და „უკრაინელი“? სად და როდის „გამოიქვედეს“ ახალი „უკრაინელი ერი“?

ამ შეკითხვებზე მათი არგუმენტები, ისტორიული ფაქტების სახით, ასეთია:

I ისტორიის საყოველთაოდ ცნობილი მატანეები ხუთი საუკუნის განმავლობაში (IX-XIII) რუსეთის მოსახლეობის ეთნომიად იყენებენ სხვადასხვა ტერმინს: „რუსი“, „რუსული მოდგმა“, „რუსები“, „როსები“, „რუსი ხალხი“. ყველა მათგანი ეფუძნება ორ საკვანძო სიტყვას. ესენია: „რუსი“ და „რუსული“. სწორედ ასე უწოდებდნენ ძველ დროში თავიანთ თავს რუსეთის მცხოვრებნი. ტერმინები: „მალოროსები“, „ველიკოროსები“, „ად-მოსვლელი სლავები“, „სამხრეთრუსული ან ჩრდილორუსული ხალხი“, „რუსეთელები“ და მით უმეტეს „უკრაინელები“ ახალი დროის გამოგონებაა და სამეცნიერო თვალსაზრისით შეუძლებელია მათი წინა ეპოქებში „ჩაწნევა“. ეს არის ფსევდომეცნიერული და ანტიისტორიული ტერმინოლოგიური სპეკულაცია. მატანეებში, რასაკვირველია, გვხვდება ტერმინი „უკრაინა“, როგორც „საზღვრის“, „საზღვრისპირა ოლქის“, „ოკრაინას“ მნიშვნელობით. ტოპონიმი „უკრაინა“ ძველი რუსეთის წყაროებში არ არის. არც ეთნიკური, არც კულტურული მნიშვნელობით ძველი რუსეთი არ მოიცავდა რაიმე „უკრაინულს“ და „უკრაინელებს“, როგორც ეთნოსს არსად არ არის მოხსენიებული.

II შემდგომი სამი საუკუნის განმავლობაში (XIV-XVI) ჩნდება სახელწოდებები „მალაია რუსი“ (Малая Русь) და „ბელაია რუსი“ (Бѣлая Русь), აგრეთვე „დიდი რუსეთი“ (Вѣднѣ Русь), რაც დიდი სივრცის ტერიტორიულ დაყოფას გულისხმობს. XIV-XVIII საუკუნეებში რუსი ხალხი ორ სახელმწიფოდ გაიყო: აღმოსავლეთის მოსკოვის სამეფოდ და დასავლეთის სამეფოდ, რომელსაც პოლონელები და ლიტველები მართავდნენ. სწორედ პოლონელებისა და ლიტველების მფლობელობაში არსებული ტერიტორიების აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინებს „მალაია რუსი“ და „ბელაია რუსი“. იმდროინდელ რუსულ წყაროებში ვერსად იბოვით „უკრაინას“ და „უკრაინელებს“, ვერც „ბელორუსიას“ და „ბელორუსს“.

რუსებით დასახლებული „მალაია“ და „ბელაია“ რუსეთის პოლონურ-ლიტვურმა ოკუპაციამ გავლენა მოახდინა რუსულ ენაზე, კულტურასა და წეს-ჩვეულებებზე. რუსული ენაში ბევრი პოლონური სიტყვის დამკვიდრების შედეგად იგი გარკვეულწილად „გაპოლონურდა“. „მალაია“ რუსეთის დიდგვაროვნები უნათესავებოდნენ პოლონელებს, ლაპარაკობდნენ პოლონურად, ერთმა ნაწილმა კათოლიკობა მიიღო, შვილები პოლონურ სასწავლო დაწესებულებებს მიაბარეს... მოკლედ რომ ვთქვათ, დასავლური ორიენტაცია ამჯობინეს. თუმცა რუსულ ენას კიევშიც და მოსკოვშიც ერთი სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ.

ანუ „მალოროსების“ ზედა ფენების ასიმილაცია გადადები არ აღმოჩნდა „ქვედა“ ფენებისთვის, მაგრამ კულტურული თვალსაზრისით დიდი გავლენა მოახდინა. ხალხმა კი, როგორც ერთიანმა და მილიანმა ორგანიზმმა, არ დაკარგა „რუსულობა“, შეინარჩუნა მართლმადიდებლობა, მშობლიური ენა, მამათა ტრადიციები, რამაც განაპირობა კიდევ 1648-1654 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი პოლონეთის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა პერეასლავის რადას ისტორიული გადაწყვეტილება „მალაია“ და „ველიკაია“ რუსეთის კვლავ შეერთების შესახებ.

სამხრეთ და ჩრდილოეთ რუსეთის კვლავ გაერთიანების შემდეგ დაიწყო პოლონური ზეგავლენის უკუპროცესი. სხვათა შორის, ლიტვის დიდ სამთავროში 1697 წლამდე რუსულს ოფიციალურ სახელმწიფო ენად იყენებდნენ. „მალაია“ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული ხალხი თავის თავს რუსებს უწოდებდა. მოვიხმოთ ბოგდან ხმელნიცკი: 1648 წელს ლოვოცკენ მიმავალმა გეტმანმა ქალაქის მცხოვრებთ გაუგზავნა უნივერსალი: „მოვემართები თქვენკენ როგორც რუსი ხალხის განმათავისუფლებელი; მოვიდვიარ რუსული მიწის დედაქალაქისკენ, რათა გაგათავისუფლოთ პოლონური ტყვეობისგან“.

სხვა თანამედროვე, საპირისპირო ბანაკის წარმომადგენელი, პოლონელი გეტმანი საპეგა წერდა: „ჩვენ წინააღმდეგ იბრძვის არა მო-

ხალისეთა ბრბო, არამედ მილიანი რუსეთის დიდი ძალა. სოფლების, დასახლებების, ქალაქების მცხოვრებნი — რწმენითა და სისხლით შეკრული მთელი რუსი ხალხი რეჩპოსპოლიტას განადგურებით იმუქრება. ნათლად ჩანს, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა არა „უკრაინისთვის“, არამედ — რუსეთის ორი ნაწილის კვლავ შესაერთებლად, რუსების ერთ სახელმწიფოში გასაერთიანებლად.

რაც შეეხება „უკრაინას“, ანუ „უკრაინას“, წყაროებში ეს ტერმინი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ტერიტორიის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. XVI საუკუნის პოლონურ წყაროებში არის სიტყვა „უკრაინა“, თუმცა ის პატარა ასოთი იწვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას საკუთარ სახელად არ მოაზრებდნენ. პოლონელებისთვისაც „უკრაინა“ საზღვრისპირა, განაპირა მხარეს ნიშნავდა და არა კონკრეტულ ტერიტორიას...

III

XVII საუკუნეში რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ს აღევლინა დასავლეთურული მიწების ბედი, რომლის დიდი ნაწილი პოლონელების ხელში იყო. ვითარება ქვეყნის შიგნით პოლონური სკიმიზმის გადაწყვეტილებამ დაძაბა, როცა უარი განაცხადა დაეცვა მოსახლეობის არაკათოლიკური მოსახლეობის უფლებები. ამას თან დაერთო პოლონელ დიდგვაროვანთა შორის განხეთქილება. რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ ჩარევა გადაწყვიტეს, რაც 1772 წელს პოლონეთის პირველი გაყოფით დამთავრდა. პრუსიას ერგო დასავლეთ პოლონეთი, რომელზეც ძირითადად პოლონელები ცხოვრობდნენ, ავსტრიამ მიიტაცა გალიცია — პოლონელებითა და რუსებით დასახლებული, ხოლო რუსეთს გადაეცა რუსულმოსახლეობიანი პოლოცკი, ვიტებსკი და მოგილიოვი. ვერსად გავეცდებით ფაქტს, რომ გალიციაში მცხოვრები რუსები მაშინ რუსული ენის რუსულ-პოლონური დიალექტით ლაპარაკობდნენ, ხოლო რუსეთისთვის გადაცემული ოლქების მოსახლეობა — რუსულ-პოლონურ-ლიტვურ დიალექტზე.

პოლონეთის მეორე დაყოფა 1793 წელს უკავშირდება — პოლონეთში განადგურებული სამოქალაქო ომის ფონზე პოლონეთის თავდაზნაურობამ დახმარება ეკატერინას სთხოვა. რუსულმა ჯარმა ვარშავა დაიკავა და ახლანდელი ბელორუსიისა და უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი — მინსკი, პოლინის ნაწილი და პოლოდია მიიღო. პრუსიამ პოზნანი იგდო ხელთ.

ერთი წლის შემდეგ ვარშავაში აჯანყებამ იფეთქა და მის ჩახახშობად რუსეთის ხელისუფალმა სუვოროვის მეთაურობით თავისი საუკეთესო არმია გაგზავნა. შედეგად, პოლონეთმა, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა. 1795 პოლონეთის მესამედ დაყოფის წელია; ამჯერად რუსეთს კურლანდია, ლიტვა და პოლინის დასავლეთის ნაწილი ერგო (ამ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ ეთნიკური რუსები, ლიტველები და პოლონელები).

XIX საუკუნემდე რუსებს არ ჰქონიათ ერთიანი სახელმწიფო, მაგრამ რაც არსებობდა, ის მხოლოდ რუსული იყო. იმ პერიოდში არავინ არსად ახსენებს ახალ ეთნოსებს — „უკრაინელებს“ და „ბელორუსებს“.

IV

XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი

პირველი „უკრაინელები“ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩნდებიან. გრაფმა იან პოტოცკიმ

თავის ერთ-ერთ ნაშრომში პირველად გამოიყენა ეს ტერმინი. „უკრაინელობის“ იდეოლოგმა, აგრეთვე პოლონელმა გრაფმა ფადეი ჩაცკიმ გამოითქვა მოსაზრება (შექმნა მითი), რომ „უკრაინელები წარმოიშვნენ უკრებისგან, განსაკუთრებული ურდოს წარმომადგენლებისგან, რომლებიც VII საუკუნეში მოვიდნენ უკრაინის ტერიტორიაზე ვოლგისპირეთიდან“. ასეთია „უკრაინელი ხალხის“ ეთნოგენეზის ჩაცკისეული სქემა. პოტოცკისა და ჩაცკის აზრები უკრაინელთა გარუსული წარმოშობის შესახებ გაავრცელეს „მალროსიის“ მარცხენა ნაპირსა და უკრაინის სლობოდაში. სწორედ მაშინ „მალაია“ რუსეთში გაქრნენ რუსები და როგორც განსაკუთრებული ერი, გაჩნდნენ „უკრაინელები“. სინამდვილეში ისინი მაშინ წარმოადგენდნენ რუსოფობ მალროსიელ მარგინალებს, რომელთა რაოდენობა რამ-



დენიმე ასეულს შეადგენდა. ამ ეთნიკურ მუტანტებს ფინანსურად, მორალურად და პოლიტიკურად მხარს უჭერდნენ მომძლავრებული მეზობელი სახელმწიფოები. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ანტი-რუსულმა ტერორმა, „მალროსიაში“ მომხდარმა რამდენიმე რევოლუციამ და ომმა. ყოველივე ამის შედეგად რამდენიმე ასეული „უკრაინელი“ ორასიოდე წელში ორ მილიონამდე გაიზარდა. დღესაც, ისევე როგორც ორასი წლის წინ, ეს გაერთიანება ერთი კი არა, პოლიტიკური პარტიაა.

ისტორიკოსი ნიკოლაი ულიანოვი ისტორიოგრაფიულ მონოგრაფიაში „უკრაინული სეპარატიზმის წარმოშობა“ წერს: „პოლონელები უკრაინული დოქტრინის მამები არიან... სწორედ მათ დაიწვეს „უკრაინის“ და „უკრაინელების“ დამკვიდრება ლიტერატურაში... პოლონელებს ხელს არ აძლევდათ არც „მალროსიის“ (ქართულად — «ქალაქი რუსის») (ქართულად — «ქალაქი რუსის») არსებობა. „უკრაინის“ გამოყენება ჯერ კიდევ ალექსანდრე I დროს სცადეს. დაიწყო კიევის „გაპოლონურება“: რუსეთის სამხრეთ-დასავლეთი პოლონური სკოლებით მოიფინა, დააარსეს უნივერსიტეტი ვილნოში და ხელში ჩაიგდეს 1804 წელს გახსნილი ხარკოვის უნივერსიტეტიც. ამის შემდეგ პოლონელებმა თავი ამ ტერიტორიის — „მალროსიის“ მხარის ინტელექტუალური ცხოვრების ბატონ-პატრონებად იგრძნეს. ცნობილი ისტორიკოსმა ნ. კოსტომაროვმა, ხარკოვის უნივერსიტეტის სწავლის პერიოდში, ამ პროპაგანდის ზემოქმედება საკუთარ თავზე სრულად იგ-

რძო. XIX საუკუნის შუა ხანებში სწორედ მან შექმნა ცნება „დიდი რუსი ხალხი“ («Великий русский народ»); დიდ რუსეთსა («Великая Русь») და პატარა რუსეთში («Малая Русь») მცხოვრებ სწორედ მან უწოდა „ორი რუსი ხალხი“. რუსების აღსანიშნავად „ველიკოროსების“ შემოღებით, კოსტომაროვმა, „უკრაინელობის“ ფუძემდებლებთან ერთად გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ „ძველი რუსი“ («Старая Русь») უკრაინელების მემკვიდრეობა იყო — „ველიკოროსები“ ბევრად უფრო გვიან, IX-XII საუკუნეებში გაჩნდნენ.

ისტორიოგრაფიაში მოგვიანებით გაჩნდა რუსი ხალხის სამი შტო: „მალროსები“, „ველიკოროსები“ და „ბელოროსები“, რომელთა შესახებაც ისტორიულ წყაროებში არანაირი კვალი არ არსებობს. მიზეზი ბანალურია — ასეთ ეთნო-

(მაგ. პ. სტრუვე), ისე „უკრაინული“ ინტელიგენციის წარმომადგენლები (მაგ. პ. კულიში).

ისტორიკოსი ნ. ულიანოვი მითითებს იმ ძალებზე, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ამ ხელოვნური, ანტიისტორიული ტერმინოლოგიის გავრცელებით — უკრაინული სეპარატიზმი და ლიბერალურ-რევოლუციური მოძრაობა. გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში გაჩნდა ამ სამი „შტოს“ ტიპთა ეთნოგრაფიული აღწერილობა ნახატების სახითაც — განსხვავებული საშისითა და ინვენტარით. ყურადღებას ამახვილებდნენ განსხვავებულ ყოფაზე, წეს-ჩვეულებებზე, ოლქების დიალექტზე და ამ „საოლქო“ განსხვავებების საფუძველზე რამდენიმე ხალხის არსებობას ამტკიცებდნენ.


XIX საუკუნის ბოლოს „უკრაინულმა“ და „ბელორუსულმა“ ინტელიგენციამ დააარსეს მოძრაობა, რომლის მიზანი იყო თავიანთი ენების რუსულის გავლენისგან დაცვა. ამას ხელს უწყობდნენ... თვითონ რუსები. აკადემიური წრეები უკრაინულ პროპაგანდას ღუმილით შეხვდნენ, თითქოს ვერც ამჩნევდნენ. მათი გამოაშკარავება „რეპრეზენტაციულ“ საქმედ მიანდათ, რის გამოც შესაძლებელი გახდა „სწავლული ფანდარი“; „მეცნიერი-ფანდარი“ ან „ისტორიის გენერალი“ ეწოდებინათ. ღუმდნენ ისეთი გიგანტები, როგორებიც იყვნენ მ. დიაკონოვი, ს. პლატონოვი, ხოლო „უკრაინული“ ისტორიის ფუძემდებელი, ისტორიის სახელგანთქმული ფალსიფიკატორი მ. გრუშევსკი პეტერბურგში ბეჭდვად თავის პოლიტიკურ პამფლეტებს სახელწოდებით „უკრაინის ისტორია“. უკრაინოფილობა მიიჩნეოდა საპატიო მოვლენად, რომელიც, მათი აზრით, გულისხმობდა სამხრეთრუსეთელი ხალხის კულტურულ და ეკონომიკურ ერთიანობას...

გრუშევსკიმ ისტორიის ფალსიფიკაცია თავდაპირველად მოკრძალებით დაიწყო: «Діаіі ѱ Діііі-ის პოლონური სახელწოდება „უკრაინა“ გამოიყენა და მიიღო ფანტასტიკური ქვეყანა — «Одіаіі à-Діііі» და იქ „უკრაინულ-რუსული“ ხალხები დაასახლა. შემდეგ უფრო ვერაგული ნაბიჯი გადადგა და დაიწყო ტერმინებით ჟონგლიორბა: სადაც კი შეხვდებოდა ტერმინები „რუსი“ («Русі»), „რუს“ («Русі») და „მალროსია“ («Малоросія»), მათ ანაცვლებდა „უკრაინელი“, „უკრაინული“ და „უკრაინით“. ასეთი იოლი მანიპულაციით უკრაინელმა პროფესორმა რამდენიმე წელიწადში შეთითხნა „ათასწლოვანი უკრაინული ისტორია“ და იგი „ფესვებითაც“ უზრუნველყო.

ასე მარტივად გამოაძევეს რუ-

სებს არასდროს უარსებიათ, რადგან სახელები, რომლებიცგანაც იშვა თითოეული შტო (І àèàÿ, Ààèè èàÿ, Ààè àÿ Діііі) აღნიშნავდა თათართა შემოსევებისა და პოლონეთის ექსპანსიის შედეგად დაწესებულ სახელმწიფოთა ტერიტორიებს, რომლებზეც ცხოვრობდა რუსი ხალხი და ამ ტერმინებში ეთნიკური თუ ნაციონალური შინაარსი არ იფულისხმებოდა.

ცნება „სამი რუსეთის“ შესახებ XIV საუკუნეში გაჩნდა და მას 1917 წლამდე იყენებდნენ, თუმცა თითოეულში მხოლოდ XIX საუკუნეში „დაასახლეს“ სამი სხვადასხვა ხალხი, ძირითადად, ძალიან განათლებულები. უბრალო ადამიანები კი, კიევის რუსეთის დროიდან მო-



ყოლებული, სადაც არ უნდა ეცხოვრათ — „მალაია“, „ბელაია“ ან „ველიკაია“ რუსეთში, თავიანთი ეროვნული იდენტურობისთვის იყენებდნენ ერთადერთ ეთნონიმს — რუსები.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ცნება „რუსები“ მოიპოვებდნენ „ველიკოროსები“, „მალროსები“ და „ბელორუსები“ — ყველა ერთად. თანაც, ამ ტერმინს ამ მნიშვნელობით იყენებდნენ როგორც რუსული

სები „კიევისა და მალაია რუსის“ («Еààîè àÿ და І àèàÿ Діііі.) ტერიტორიიდან, რომლის ბატონ-პატრონები „უკრაინელები“ გახდნენ. „უკრაინულ ისტორიკოსს ნაკლებად აინტერესებდა ჭეშმარიტება — ის მითების შემოქმედია და არა სიმართლის მაძიებელი, იდეოლოგია და არა მეცნიერი, ისეთი მიმართულების წარმომადგენელია, რომელსაც მეცნიერებასთან არაფერი აკავშირებს. „უკრაინული“ ისტორიოგ-

რაფიის საფუძველი კი სწორედ ასეთი ნაშრომებია.

* * *

ვინ არიან უკრაინელები: ერი — მრავალსაუკუნოვანი ისტორიით თუ რუსი ეროვნების დანამატი?

ამ შეკითხვაზე კატეგორიული და მკაფიო პასუხი აქვს სამეცნიერო მიმართულების — „დნმ-გენეალოგის“ წამყვან სპეციალისტს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მარგარდის უნივერსიტეტის პროფესორს ანატოლი კლიოსოვს.

დასავლეთ უკრაინის ნაციონალიზტური სკოლა ცდილობს ამტკიცოს, რომ რუსები და უკრაინელები არ არიან ახლომონათესავე ხალხები. ეს მოსაზრება „ეფუძნება“ იმას, რომ ახლანდელი უკრაინის ტერიტორიიდან ოდესღაც გადასახლებული რუსები მონგოლოიდურ რასაში გაითქვიფნენ და ისინი ადარ არიან სლავები.

ამ მტკიცებაში სიმართლე არ არის. რუსები, ბელორუსები და უკრაინელები ერთი და იმავე გვარის ერობლიობაა, გენეტიკური თვალსაზრისით ერთი და იგივე ხალხია. წარმოშობაც ერთი აქვთ. ეთნიკურ რუსებში სამი მთავარი გვარია: **R1a, I è N.**

გაბლოგუგუ R1a-ს მიეკუთვნებიან რუსების 48 და უკრაინელების 45 პროცენტზე;

გაბლოგუგუ I-ს — რუსების 22 და უკრაინელების 25 პროცენტზე; ამ მჩვენებლებს შორის განსხვავება 4 პროცენტამდე მერყეობს.

ამ ორ ხალხს შორის ყველაზე შესამჩნევი განსხვავება **გაბლოგუგუ N**-შია, რომელიც ჩრდილოეთ ევროპაში გავრცელებული და იგი მოიცავს ლატვიელებს, ლიტველებს, ესტონელებს, ბალტიკისპირეთის რუსების ნაწილსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის მცხოვრებთ. **გაბლოგუგუ N**-ს ეკუთვნის რუსების 14, ბელორუსების 10 პროცენტი, ხოლო უკრაინაში ეს მაჩვენებელი 1-4 პროცენტს შორის მერყეობს. საგრძნობი განსხვავება იმით აიხსნება, რომ უკრაინა ბალტიკისპირეთის უფრო სამხრეთით მდებარეობს, ვიდრე რუსეთი და ბელორუსია. **გაბლოგუგუ R1a**-ს ბელორუსთა 52 პროცენტი მიეკუთვნება.

არსებობს ასეთი ცნება — „გაბლოტიკების ხე“. იგი სხვადასხვაგვარად ყალიბდება. პროფესორმა კლიოსოვმა თავის კოლეგებთან ერთად შექმნა გაბლოტიკების ხის მოდელი და მასში შეიტანა რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების მონაცემები. დნმ-ის ანალიზი III პარამეტრის (დნმ-ის **Y**-ქრომოსომის მარკერები) მიხედვით შეამოწმეს („აკადემიური“ ანალიზის დროს მხოლოდ 17-ს, ხანდახან 6-7 პარამეტრს იყენებენ). ამ სამი ხალხის გაბლოგუგუები ერთმანეთს „დაასვენეს“ და თითქმის ერთნაირი გამოვიდა, ხანდახან კი — იდენტური.

„ჩვენ ჩავუღრმავდით ისეთ დეტალებს, რასაც მკვლევარები უგულებელყოფენ — რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების გაბლოგუგუები ყოველთვის ერთმანეთს ეთხოვება. ასე რომ, ამ სამი ხალხის საერთო წარმომავლობის შესახებ კამათი დასრულებულია. არსებობს „ნაშრომები“, რომლებიც სამეცნიერო და სოციალური თვალსაზრისითაც ჩემს აღმფთვებას იწვევენ. ამგვარი „სამეცნიერო“ სქიმიანობა საინფორმაციო ომის ნაწილია“, — აცხადებს მეცნიერ-გენეტიკოსი.

ელზა ნაბახტაშვილი

სისარბჟელას იქმნა საქართველო

ირანის ისლამური რესპუბლიკა-გვამცობს წარწერები გზა და გზა. უბრალო აღნიშვნა არ გვევლინება, უფრო გავრთხილება. რადგან იქ სხვა რეალობაა. გინდა თუ არა უნდა მიიღო, დაემორჩილო. არ ვიცი ვისთვის უადგილო აღმოჩნდება ეს ლირიული გადახვევა, მე კი ცოტა უცნაურობა ანეკდოტს მოგაგონებთ, მოდუნდი და მიიღე სიამოვნებაო, მსხვერპლს რომ სთავაზობს სექსუალური მანიაკი. აი, ირანში გარდა იმისა, რომ ისლამური წესების მსხვერპლი ხდება, სასიამოვნოდ დროის გატარებაც შეიძლება.

ფესტა, ნუგა, ფინიკი, აღმოსავლური სახელებლებით შეზავებული ჩაი, უბადალოდ მომზადებული ბრინჯი, რაც ბებიაჩემის ფაფასავით კი არ იხილება, არამედ სათითაოდ გამოარჩევ თითოეულ მარცვალს ანუ ე.წ. ფანტიაა და კიდევ ბევრი რამე-რუმი.

როცა ირანში მიწვევს ჩასვლა, ყოველთვის ტვინს ვიჭყლეტ, რა წავიღო საჩუქრად. იქაურებს ამის დარდი ნამდვილად არ აქვთ. უმდიდრესი ქვეყანაა სულ ყველაფერს აწარმოებენ სამოსიდან დაწყებული საკვებით დამთავრებული. აი, იქიდან კი რასაც კი გავწვდები, სულ ყველაფერი მინდა წამოვიღო,



ჰო... ირანელებს ჩვენებური შოკოლადი უყვართ. „რუსეთის ქაქაოს“ ეძახიან და თუ საჩუქრებს აპირებთ, წაუღებთ, ნამდვილად გაახარებთ. ვოიაჟის სამზადისს მთვრებით, ოღონდ არ გამოგრჩეთ, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება არასოდეს დაგვგომთ ირანში მოგზაურობა ურუჯობის(იქაური მარხვის პერიოდში) ამას პირადი გამოცდილება მალაპარაკებს.

ურუჯობა რა ყოფილა

ღმერთმა გივებულოს-ასე ეუბნებიან ერთმანეთს მარხვას შედგომილი ფერეიდნელი ქართველები. არაფერ ვითხრათ, რომ მუსულმანების ურუჯი, მზის ჩასვლისთანავე სრულდებაო, აი, ზუსტად დამის ათის ნახევრამდე არ უხსნილდებათ. დღის განმავლობაში კვებას თავი დაანებე, წყალსაც არ სვამენ. საღამოს 9 საათზე მოლა ღოცვის ჟამს უხმობს და მერე ნებადართული ჭამა-სმა. შემდეგი ტრაპეზი დილის 5-ის ნახევარზეა, საგანგებოდ ამისთვის მალვიძარას აყენებენ. ეს მარხვა წელიწადში ერთხელ არის, მოძრაობა, ოღონდ ყოველთვის ზაფხულში უწევს. თუ მაშინ ვერ შეძლო შეენახა, მორწმუნე მუსულმანს ნება ეძლევა ზამთარში იყოს ურუჯი. ავადმყოფებს, ვისაც მარხვა რამე დისკომფორტს ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს უქმნის მარხვა ეკრძალებათ. მმარხვა არ ეხებათ მგზავრებსაც, ვინც ტრანსპორტით დიდ მანძილზე გადაადგილდება. ამას თვითონ ყურანი გავფრთხილებსო ამბობენ. უურუჯობის პერიოდში ხშირად იკრიბებიან ერთმანეთთან სახლებში და ყურანს რიგრიგობით კითხულობენ. როგორც მზე ჩავა, გარკვეულ უბნებში ირანის მოავრობა ხალხისთვის საჭმელ-სასმელს არიგებს. გამწვანებული მარხვის აღსანიშნავად დრო შენა გამოფენილია და იქ მიაქვთ ხორავი. ურუჯობის აუცილებელი კომპონენტი უპოვართა დანხარება, მათთვის შემწეობის გაცემა. ზოგ მათგანს ყურანში უდევს ფული, რაც გასაცემად გადაუხდია. ვერაფერს შეჭამთ და დაღუბთ ხალხის თავშეყრის ადგილებში. საკუთარ ეზოში, ან აივანზეც არ დაგრთავენ ნებას. სახლში მალულად ვინც შეჭამს, ამას კი ვეღარ აკონტროლებენ. ამი-

ტომ მათ მარხვაში ნურც ყონალობას(სტუმრად მიწვევას) დაელოდებით. ვინც ამ დროს მასპინძლობას არ შეუძინდება მათ ჩამონათვალს ხელის თითებიც ეყოფა. ისე ჩვენში რომ ვთქვათ, ქართველებს უყვართ სტუმარი და ფერეიდნელების, კერძოდ, იქაური ქალაქ მარტყოფის 90% ქართველებია. კიდევ ერთ რამეში გამოიმართლა, ზაფხულში როცა ირანში გაჩერება ფაქტობრივად ერთგვარ წამებასთან ასოცირდება, იქ სულ სხვა გარემოა.

ფერეიდანი კურორტია, ზღვის დონიდან იმდენითვეა დაშორებული, როგორც ჩვენი

სვანეთი. ზამთარი თოვლიანია, ზაფხულში ტემპერატურა 30 გრადუსზე მაღლა არ იწევს.

სასჯელი დედაკასოხისათვის?

თითქოსდა, არ უნდა შეგაწუხოთ კლიმატურმა პირობებმა, მაგრამ... აქ ერთი მნიშვნელოვანი მაგრადა... ირანში მცხოვრები ქალების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა მიიჩნევენ, თუ ქალი ხარ თავი უნდა შეიზღუდო: არ უნდა იარო თავშიშველა, არც კანი გამოიჩინო. რახან ვერ შეჩვეულხარ შარვალი და მანტო, თავზე კი თავსაფარი და რა არის პრობლემა? ვითომ არაფერი? იქნებ, ზოგ თქვენგანს რომანტიულადაც ეჩვენა დედაკაცთა ამგვარი თავდადება. არაა... მენდეთ, თუ არ ხარ მიჩვეული, ძალიან გავიჭირდებათ. ახლა სიამოვნებას რაც შეეხება, ცნობილი გამოთქმაა, რომ ქალებს ძვირფასეულობა უყვართ და აი, ირანში ოქრო მაღალი ხარისხისაა, თანაც ჩვენთან შედარებით იაფი. იქ თითქმის ყველა ქალი(უი, ამთ უფრო უხდებათ სიტყვა მანდილოსანი) სამკაულებს დააჩხრიალებს. განსაკუთრებით მოდაშია ამ კეთილშობილი მეტალისგან წარმოებული ე.წ. სამაჯურები. ასე რომ, მივცით თავს უფლება და აისხით. ქალის საუკეთესო მეგობარი ბრილიანტებიაო. კი ბატონო, ძვირფასი თვლებიც შედარებით იაფად. დათმინეთ და მიიღებთ. მე კი განგებამ ფერეიდნელები რძობა მარგუნა და რჩევებს საკუთარი გამოცდილებიდან გიზიარებთ.

ისე, იქაური კაცი ოჯახისთვის თუ საუცხოო ვერ იქნა, ცუდი ალბათ გამოინაკლის შემთხვევებშია. რადგან შემომტანებია, შრომას მიჩვეული არც მგლანგელობით გამოირჩევიან კი არა, ხელმოჭირალებიც არიან. ალბათ, ფერეიდნელი რძლებისთვის ბევრ იქაურ ჭეშმარიტებასთან ერთად, ისიც „აქ სიომა“, რომ დედათილი ყოველთვის მართალია. რომ უფროსი მამლი შენზე წინ უნდა გავიდეს კარში და ა.შ. არც ის უნდა გავიკვირდეს, თუ მულმა პირდაპირ გაჯახოს: აქ საქართველო არ არის და სუსტი ხარ, თუ ძლიერი სხვას ვერაფერს მოსთხოვო. ანუ, ცნება ერთი დიდი ოჯახი იქ პირობითია და მხოლოდ სტუმრიანობისას(ყონა-

ლობისას) იჩენს თავს.ძველი ქართული გამოთქმა მათი ყოფიერებისთვის ზედგამოჭრილია: ყველა საკუთარ ბუხარს უკეთ უბერავს და როგორც რუსები იტყობენ „სვანია რუბანა ბლიუე კ წელუ“ მით უფრო თუ დიდ ოჯახში გასაყოფიც ბევრია. ახლა ქართველები არა, თორემ იქაური ქორდები(ადგილობრივი ხალხია) ძმამ ძმას შეიძლება მიწისათვის. არადა, მდიდარი ქვეყანაა, აი, განსაჯეთ, გაზი, ნავთობი, ოქრო აბსოლუტურად ყველაფერი აქვთ. ისე, სტუმრის მიღება იციან გასაოცარი. საგანგებო პურ-მარილს გაუშლიან. ოღონდ ალკოჰოლის გარეშე. (თრობა ირანში სიკვდილით დასჯადია.) შემდეგ ფულს, ან საჩუქარს გადმოცემენ, ეს ყონადის პატივისცემის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

უკან საბჭოთა კავშირში?

რამდენიმე ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ისე განცხრობით მოსახლეობა არსად მინახავს, როგორც ირანელებია საკუთარ ქვეყანაში. ზოგჯერ მიფიქრია, ალბათ, ეს შეზღუდვები მთავრობამ განგებ დაუწესა, რომ სულ არ აიშვან, ან კიდევ უცხოელებით არ გაივსოს იქაურობა-მეთქი. საჭმელ-სასმელი არავისთვის წარმოადგენს პრობლემას, სამოსსაც ხომ ვთქვი, თავად აწარმოებენ და შესაბამისად იაფი. მთავრობა ავადმყოფებს და უმუშევრებს ეხმარება. მიუწვდომელ სოფლებს პატრონობს, ფერმერებს ყველა პირობას უქმნის, რომ თავის საქმეს არ მოცდნენ. ფულს, საკვებს რაც შეიძლება ყველაფერს აწვდის, რომ იმან პრობლემა არ შეუზღუდოს ხალხს. ირანის მოსახლეობა ვერ კიდევ 5 წლის წინ 80 მლნ-ს შეადგენდა. საბჭოთა კავშირი რამ გამახსენა და უცხოურს ყველაფერს, რომ ებრძვიან იმან. ტელევიზორში უინტერესო გადაცემებია. ხშირად მოვლების ქადაგებებს გადმოსცემენ. რახან საჭმელი არავის უჭირს პურსაც ისე დაუზოგავად ყრიან, როგორც სხვის-ის პირობებში მახსოვს. და კიდევ, იმ-

ნობა და შესაბამისი რეაგირება არც თუ ისე ძნელია. თუმცა აზიური მენტალობაც შეგახსენებთ თავს მათთან ურთიერთობისას, ანუ ქარაგმებით საუბარიც იციან. უყვართ გამოთქმა: მულო შენ გეუბნები, რძალო შენ გაიგონეო-ზედგამოჭრილია და იმიტომ. მოხიბლული ვარ ფერეიდნელი ქალის ხასიათის შტრიხებით. უმეტესად, წყნარნი არიან. აი ისეთი, ჩვენ რომ აღვნიშნავთ, სიტყვას სიტყვაზე არ ამბობსო. უდაოდ აფასებენ მეუღლის შრომას. დიმილიანნი და იმედით სავსენია.დიდმა უმრავლესობამ კარგად იცის მანქანის მართვა და საკუთარიც ჰყავთ.

რაც ავითვისე და ხშირად ვიმეორებ, ახლა თქვენაც გაგანდობთ შემდეგი უებარი სიტყვებია: მადლობა ღმერთო... მათ ენაზე(მადლობა ჰოდა-ჰოდა ანუ ღმერთი) და ამგვარად დღეში რამდენჯერმე, ჩვეულებრივ ოჯახურ გარემოში, მადლობენ ღმერთს საკუთარი ყოფიერებისათვის. თავიდანვე მომეწონა, ოღონდ მაგიწვდებოდა და როცა მივეჩვიე ნამდვილ მედიტაციად მექცა. აი, სცადეთ, ნუ დაემდურებით განგებას, დაფასეთ რაც ღმერთმა გარგუნათ და დიდ შევებას მიიღებთ.ახლა ისე არ გვევლით, რომ ფერეიდნელები ყველაფრით კმაყოფილი ხალხია. ის სიტყვები მხოლოდ დელებს ეკუთვნის ქმარ-შვილის ჯანმრთელობის და ოჯახის ბარაქისათვის. საყვედურიც პირდაპირი იციან, ბევრ მათგანს გაკვირება ვერ დაუმაღავს, როგორ გვიხმობენ დაუბრუნდით სამშობლოს, როცა ვინც გურჯისტანს წავიდა მათი რაოდენობა თითებზე ჩამოთვლება და დღემდე არც ბინით დაუკმაყოფილებიათ, ვერც კარგი სამსახურები იშოვესო. „-მა ჩემი ყმაწილი რასთი არ ჩააბეს, რასთი საქმე არ მისცეს“-საყვედურს მამარებს 65 წლის ქალბატონი. „-თუ გაგვევით, ჩონ თქენ სისხლი და ხორცი ირანში ცოცხლობას ვიქო, რასთი აქამდე არ გენახათ ჩონ თავი. დაგვაგდეთ და არც რა“- ესეც ხშირად გამოივლიან. რას ვიზამთ, ასეთია განგება პატარა და უპოვარი საქართველოსი, სადაც ლუკმა-პური ძნელად იშოვება,



ღენად არ იციან უბინობის, უმუშევრობის, უპურობის გემო, რომ საკმაოდ ხშირად წუწუნებენ, მეტს ითხოვენ ამ ცხოვრებისგან. თორემ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს ისე უფრთხიან, როგორც ჩვენ უმუშევრობის პერსპექტივა გვაშინებს და ამის გამო, პანიკამ მოგვიცვა(საქართველოს პირობებში ლოგიკურია)

მათი დაღაბითი თვისებები

ფერეიდნელი ქართველი (იმიტით გამოინაკლისების ვარდა)არახილეს მოგატყუებს პირდაპირი და მიაბიჭია. შეიძლება არ უნდოდეს გითხრას, თუმცა დამალვა არ გამოუდის. ასე რომ, მათი სურვილების გამოც-

ხლო დედამამშვილობა, ოჯახური ტრადიციები დღემდე არ მოშლილა. არც ამაყი ფერეიდნელები ტყუიან, როცა არ უნდა გაიგონ საქართველოს გაჭირვება. რადგან სისხლხორცი ენატრებათ, მშობლიური მიწა 4 საუკუნის მიუხედავად მაინც უხმობთ. ამაყნი არიან, რადგან მათ გენეტიკურ მახსოვრობას ძველი ქართული შემოუნახავს. არა მხოლოდ ენა, არამედ ჯიშში და გენი. ახსოვთ ალავერდი-ხან უნდალაძე, „მერაულად მოუდით“ სწვინთ სააკაძის ღვაწლის არად ჩაგდება და ოცნებობენ იმ დროზე, როცა ირანიდან უკან მიუხედავად დაბრუნებას შეძლებენ.

ნათია ნოღია

ცხოველთა უმრავლესობა, იმ ადგილს, სადაც მიაშარდავს ხოლმე, თავის საკუთრებად მიიჩნევს.

თუმცა არიან ცხოველები, რომლებიც განსაკუთრებული ეშმაკობით გამოირჩევიან – დაგროვილ სითხეს ერთბაშად ერთ ადგილას კი არ მიუშვებენ, არამედ პატარ-პატარა ულუფებად ცოტას ერთ ადგილას მოასხურებენ, ცოტას – მეორეზე, ცოტას – მესამეზე, რომ ამით ოკუპირებული ტერიტორიების არეალი გაიფართოვონ და რეესტრში „გაატარონ“, როგორც პირადი საკუთრება.



(უკრაინიდან ვერ მოგვაწვდინა ჭავლი (უკრაინა მინც შორია) და გადაწყვიტა, ახლოს მოსულიყო საქართველოსთან).

მისგან ეს საქციელი ვის გაუკვირდებოდა, რომ არა ერთი ფრიად საყურადღებო და საგულისხმო ამბავი.

გონებამახვილმა მიხეილმა ის ფანდი გამოიყენა, რომელიც წერტილოვანი მისხურების პრინციპით, რაც შეიძლება მეტი ობიექტის მონიშვნას და დასაკუთრებას ისახავს მიზნად.

პრეზიდენტყოფილმა ჯერ თავის კოლეგას, პრეზიდენტ მარგველაშვილს მიუპიპინ-მიუშხაპუნა – გული მწყდება, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს აბუჩად იგდებს ხელი-სუფლებათ, მერე კი ალასანიას მიადგა – ეს როგორ შეიძლება, ხედავთ, როგორ ექცევიან თავდაცვის მინისტრსო?

ეტყობა, გაიძვერულ-ყალბობადღური აზრები მოსდის თავში გაიძვერობაში ჭიპოჭიპო მიშვიკოს – ამ ორს რადგან მივაშარდავ და მოუნიშნავ, ამიერიდან ესენი ჩემები არიან, ჩემი თანამოაზრეები გახდებიან და ჩემს პირად ამაღლაში მეყოლებიანო.

ღრმად ცდებით თქვენ, პატივცემული მიხეილ, ეს ორი, თქვენ რომ მსხვერპლად ამოირჩიეთ და ნიშანი რომ დაადეთ, თქვენზე ნაკლებნი არაფრით არიან და, სხვათა შორის, არც იმ საქმეში დაგიდევ-

საჩუქრი ჩასაფრებელი მიშამ სახიფიდან მოგვაფიშა...

ბატონი მიხეილ სააკაშვილიც პოლიტიკური ცხოველია და რადგან ცხრა წლის განმავლობაში თავზე აშარდავდა საქართველოს, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ საქართველო მისი პირადი საკუთრება და მისი სამფლობელოა.

ეტყობა, იგივე აზრის ბრძანდებიან მისი თანაგუნდელებიც, უფრო ზუსტად, მისი თანამომშარდელებიც, რომლებიც ბელადს ამ საქმეში შეძლებისდაგვარად მხარს უბამდნენ და უბამენ დღესაც.

პატივცემულ მიხეილს, რომელიც ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოში ვერ შემოდის და ძველებურად თავზე ვერ გვაფისავს, გადაწყვიტა, ახალ ხრიკს მიმართოს და იგივე აქტი საქართველოს საზღვრის მიმდებარე ტერიტორიიდან განახორციელოს.

წინა შაბათს მიხეილმა სტრატეგიულ ობიექტად სარფის საბაჟო აირჩია და თურქეთის მხრიდან მოგვიშვირა თავისი შარდსადენი მილი.

ბენ ტოლს, თქვენ რომ გგონიათ, მხოლოდ თქვენ რომ იცით და სხვამ არაფერს.

სხვათა შორის, არც ერთს და არც მეორეს არ გაუპროტესტებია სააკაშვილის მოულოდნელი გამოსტომა სარფიდან და: – რა გვჭირს მაგის დასაცავი და გამოსასარჩლებელი, თავის თავს მიხედოს მაგ უბედურმა, ის ურჩევნიაო – არ უთქვამთ.

– რა იცი, რა ხდება და რაში გამოგადგება სააკაშვილის მიერ დაღებული ნიშანიო, ფიქრობენ, ალბათ.

არც გაემტყუნებთ – წინდახედული ხალხია ესენი და წინ იხედებიან...

სარფში ჩასაფრებულმა მიშამ სარფიდან კიდევ ერთხელ მოგვაფიშა და წავიდა, თუმცა მისი ჯიუტი ხასიათი რომ ვიცით, ეგ მალე მობრუნდება და ახლა რომელიმე სხვა სასაზღვრო პუნქტიდან გადმოყოფს „შლანგს“...

როდემდე, კაცო, როდემდე, აქოთდა აქაურობა...

სამსონ სამსონაძე

ვაკეთებ გამაჯანსაღებელ, სპორტულ და სამკურნალო (ცელულიტიები) მასაჟებს ყველა ასაკის ადამიანებისთვის, ასევე ჩვილი ბავშვებისთვისაც, სახლში მომსახურებით.

მაქვს სათანადო სერტიფიკატი და მუშაობის 20-წლიანი სტაჟი.

tel .: 5(51) 88 03 80; 5(97) 11 70 10 el isabedi

საერთო გაზეთის იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კვლევხილი**.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

–**განკორწინდი მეუღლესთან. გვყავს არასრულწლოვანი შვილები. როგორ მოხდება მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა?**

–საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ განკორწინების გამო ან სხვა მიზეზით შშობლები ცალცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

–**როგორია სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი?**

სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგინთ საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის შინაარსს.

მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.
2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწესებულებით და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.
3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება ადგოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.
4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რელიჯიციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.
5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუბურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშრობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

–**ვარ ათვისებიათ სიმსივნით დაავადებული. მარცხენა მხარეს მკერდის ძუბუ მომაჭრეს ქირურგებმა. დიდი ხნის გაუსვლელად აღმოაჩნდა საშვილოსნოს ყელის ათვისებიანი სიმსივნე და საშვილოსნოც ამოკვეთეს. ვარ გადაუღებელი სიკვდილის მომლოდინე. მრავალჯერ მივმართე საექიმო კომისიას, მაგრამ ჩემი თხოვნა ყურად არ იღეს, არ მაძლევენ ინვალიდობას. მყავს ორი მცირეწლოვანი ბავშვი. მეუღლე გარდაემკვალა. ვარ მარტოხელა. ამ წერილს მეზობელს ვაწერინებ, რადგან წერა არ შემიძლია.**

გთხოვთ, მიპასუხოთ დემოკრატიულად. არ მიაქციოთ ყურადღება ნაცების დადგენილებას. რომელი ჯგუფის ინვალიდობა მეკუთვნის?

– ძალიან ვწუხვარ, თქვენი მდგომარეობის გამო, მაგრამ მე პასუხს ვერ გაცემთ, რადგან იურისტები არ ადგენენ ინვალიდობის ჯგუფს. ინვალიდობის ჯგუფის დადგენა სამედიცინო კომისიის პრეროგატივაა.

–**რა არის მეუღლეთა თანაკუთრება?**

–საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას / თანაკუთრებას/, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ამავე კოდექსის 1159-ე მუხლის მიხედვით, თანაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეთა აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა

მანქანა საჭის გარეშე

დიდი ხანი არ არსი რაც წარადგინეს მანქანა ავტოპილოტით. მას საერთოდ არ აქვს საჭე, სიჩქარეების გადამრთველი და პედლები.



ავტომობილი იტევს ორ ადამიანს და ის იმართება მხოლოდ ბორტ-კომპიუტერის საშუალებით, რომელსაც მანქანის მართვის საჭირო ინფორმაციას აწოდებს უამრავი სენსორი. ამ ეტაპზე ეს მხოლოდ პროტოტიპია, თუმცა ამ ზაფხულს კომპანია გეგმავს აწარმოოს 100 მანქანა მამტაბური ტესტირების ჩასატარებლად. სერგეი ბრინი ხაზს უსვამს, რომ ეს არის ელექტრომობილი და ის აწყობილია ბაზარზე მასიური ხელმისაწვდომი ნაწილებით. ტესტირების შემდეგ დაგეგმილია ავტოკონცერნეტთან მოლაპარაკება და მანქანის მასიური წარმოება.

ეჭივება ამოსნეს საიღუმლო, რატომ ასდის ორთქლი მკვდარ ადამიანს?

მიცვალებულის ელექტროენცეფალოგრამის კვლევის შედეგად ცხადი გახდა სიკვდილისწინა ელექტრული აქტივობა, - ირწმუნება ჯონათან ლიკი.



მეცნიერები ამტკიცებენ, რომ კლინიკურ სიკვდილგადატანილი ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ დაინახეს ნათელი სხივი და ორთქლი საკუთარი სხეულის გასწვრივ.

ზოგიერთი ყოველივე ამას უდგება, როგორც რელიგიურ ჩვენებას, რაც სიკვდილის შემდგომ ცხოვრებას ამტკიცებს.

მაგრამ მეცნიერებმა, რომლებმაც ახალი კვლევები აწარმოეს, ირწმუნებიან, რომ ეს ასე არ არის.


„ჩვენ ვფიქრობთ, რომ სხეულის სიკვდილის მდგომარეობაში გადასვლის პერიოდში მალღებდა სხეულის ელექტრული ენერგია, რადგან ტვინს არ ჰყოფნის ჟანგბადი,“ - შენიშნავს ლაკსმირ ჩავლა, ვაშინგტონის უნივერსიტეტის რეანიმატორული მედიცინის წამყვანი ექიმი-სპეციალისტი.

როცა სისხლის მიმოქცევა ნელდება, ხოლო ჟანგბადის მცირდება, ტვინის უჯრედები ერთ, უკანასკნელ, ძლიერ ელექტრულ იმპულსს გამოსცემენ. ეს იწყება ტვინის ერთ ნაწილში და ვრცელდება მთელ ტვინზე. ეს აძლევს ადამიანებს ცოცხალის მენტალურ შეგრძნებებს, - გვიხსნის ლაკსმირ ჩავლა.

ჩავლას კვლევით, რომელიც „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა, ითვლება პირველ სერიოზულ ნაშრომად ამ სფეროში. ის აღწერს 7 პაციენტს და ამტკიცებს, ყველამ ერთი და იგივე განიცადა დაახლოებით 50-ჯერ და მეტადაც, სანამ მოკვდებოდნენ.

მეცნიერებმა შექმნეს ტანსაცმელი, რომლის ინტერნეტში ღილი ხნით ყოფიანს ქრება

ექსტრავაგანტური სამოსი სპეციალურად სოციალურ ქსელებზე დამოკიდებული ადამიანებისთვის არის შექმნილი.



ნიუ-იორკელმა მეცნიერებმა მოძებნეს გამოსავალი ადამიანების ინტერნეტ-დამოკიდებულებისგან თავის დასაღწევად. ამაში მათ მომავლის ტანსაცმელი დაეხმარებათ.

ჩაიკვამ ამ სამოსს და ყოველთვის, როცა ინტერნეტში „გაიჭვლები“. ტანსაცმელი ითვლის ფიჭური ტელეფონიდან მონაცემებს, თვალს ადევნებს სოციალურ ქსელებში აქტივობას და აქტივობის მატებასთან ერთად ქრება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც მეტ „ლაიქს“ დაწერო, მით ნაკლები სამოსი შეგრჩებათ.

მომავლის სამოსის შემქმნელებმა განაცხადეს, რომ ამგვარად მათ გადაწყვიტეს, ადამიანებს საშუალება მისცენ, რათა გააკონტროლონ, რამდენ დროს ატარებენ ისინი ინტერნეტში და, ამასთანავე, წამოსწიონ ინფორმაციის კონფიდენციალობის პრობლემაც.

რეალურ ცხოვრებაში საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციას ჩვენ დღეობით ვაწვდით მხოლოდ იმდენ ინფორმაციას, რამდენიც გვსურს. ვირტუალურ ცხოვრებაში კი ეს შეუძლებელია, - გვიხსნიან მეცნიერები.

კითხვაზე, თუ როგორ მივიდნენ ამ იდეამდე, ისინი ვერ პასუხობენ, სამაგიეროდ, სიამოვნებით საუბრობენ იმის შესახებ, როგორ დაამზადეს ეს სამოსი. როგორც აღმოჩნდა, მათ დასჭირდათ ადამიანების სოცქსელებში ქცევაზე დაკვირვებათა შედეგები და 3-დ პრინტი.

მოამზადა
ანა ვადაჭკორიამ

ასკროლოგიური პროგნოზი

მმრპი - აქტიური ქმედების შედეგად ბევრს მიადევნეთ. თქვენი პირდაპირობით და შინაგანი ძალით გარშემო მყოფთა პატივისცემას და ნდობას დაიმსახურებთ.

კშრო - სასურველია, შეანელოთ ცხოვრების ტემპი. ნუ იჩქარებთ და უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე. ამ კვირაში თავი შეიკავეთ ყოველგვარი საკრედიტო ოპერაციებისგან.

ტყშამბი - თუ შემოქმედებით სფეროში მოღვაწეობთ, თქვენი საქმიანობა ძალიან ეფექტური იქნება. ამ კვირაში თქვენ შესახებ ბევრი ჭორი გაგრცვლდება.

პირჩხი - ორიგინალური შეხედულებები და ენერგიულობა დაგეგმარებათ გაუმკლავდეთ ცხოვრებისეულ უსიამოვნებებს. ნათესავები უზარმაზარ წვეილს შეიტანენ თქვენი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ლომი - ამ კვირაში მოსალოდნელია სიტუაციისა და გეგმების ხშირი ცვლა. მიმდინარე მოვლენები ადევნების საბაბს მოგცემთ.

ქალწული - განწყობის გაუმჯობესებასთან ერთად გაიზრდება თქვენი შრომისუნარიანობა. ამ კვირაში ლიდერის როლში იქნებით.

სასწორი - გააიხილეთ სურვილი დასახულ მიზანს და გააკეთოთ რამე მნიშვნელოვანი.

მორიყლი - გართულება თქვენი დამოკიდებულება ახლობლებთან. სამაგიეროდ, წარმატებული იქნება თქვენი პროფესიული საქმიანობა.

მშვილდოსანი - საღი აზრი ფინანსური მოგების საწინდარი იქნება, თუმცა, თუ ზომიერების გრძობა გიმტყუნებ, შეიძლება, ყველაფერი დაკარგოთ.

თხის რქა - უცნობი მფარველები თქვენს წინსვლას დააჩქარებენ, რასაც თქვენ მხოლოდ მოგვიანებით გააცნობიერებთ.

მმრწყული - უჩვეულო და მოულოდნელი გარემოებები ხელს შეუწყობს თქვენს წინსვლას. თქვენი ნებისყოფისა და ენერჯის წყალობით ადვილად გაუმკლავდებით სხვადასხვა პრობლემას.

თმშამბი - დასახულ მიზანს უჩვეულო ხერხებით მიადევნეთ. მოგეცემა შანსი, გახდეთ ლიდერი. დაუღალავი შრომა შემოსავალს მოგიტანთ. საჭიროა აკონტროლოთ თქვენი შემოსავალი და ხარჯები, რათა თავიდან აიცილოთ საზოგადოების გაღიზიანება.

ISSN 2233-3983



9 177 2233 1398 001

ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი



დარეკით ყველა მოპილური ოპერატორიდან
თიბისი ბანკი
0 901 500 540 ა/ნ GE88TB1117236080100001